

619  
1960

15

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დროშა  
1960 № 8 აპრილი



გორის ბამბეული კომბინატის მგრეხავი ეთერ გამგებელი  
ფოტო ა. ტაბატაძისა



# დროშა

№ 8 (109) აგვისტო, 1960 წ.


გამოცემის X წელი.





ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი

როგორ გავხლი გვირი  
სოფლები მოლიან ფოთში  
ჭალის ბილიკა—მოთხრობა  
თევზთა სამყაროს მკვლევარები  
სიხინო—მოთხრობა


ქრნალი „უკრაინა“ „დროშის“ ფარგლებში  
სხორება და ოსვაგოვა  
ამერიკული წყლები  
გაგაორიგი თუ კოსმიური გეგი  
ქვეყანა, საიდანაც არ ბრუნდებიან

საქართველოს კომუნისტური პარტია



-  საზოგადოებრივი ქვეყნები
-  ეს ქვეყნები მალე მიიღებენ საზოგადოებრივებას
-  გააფორმებული პრემიის რაიონები
-  ამ რაიონებში პრემია ჩაღდება





აფრიკის ხალხთა პირველ კონფერენციაზე ქალაქ აკრაში გამგზავრებული საბჭოთა დელეგაცია შეჩერდა სულანის დედაქალაქ შარტუმში. აეროდრომზე დელეგაციის წევრებთან მივიდა 30-35 წლის ახალგაზრდა ქალი და გადასცა ქალაქის რამდენიმე ფერადი ფურცელი. ჩვენმა თარჯიმანმა სწრაფად ჩაიკითხა პატარა ტექსტი, გაიღიმა და ხმაშემაღლა წარმოთქვა:

— ესაა საბრძოლო ფურცელი, რომელიც შეიცავს მოწოდებას მხარი დაუჭირონ აფრიკელთა ბრძოლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

მაგონდება ამ მოწოდების სიტყვები: „აფრიკამ გაიღვიძა კოშმარული, საშინელი ხანგრძლივი ძილისაგან. აფრიკა ფეხზე დგება მთელი თავისი გიგანტური სიმაღლით, ისწორებს ვაჟაკურ ფრთებს. ხომ გესმის, ჩვენო მეგობარო, ახალი აფრიკის მაჩისცემამ მიაყურადე აფრიკელის მხურვალე გულს და, თუ პათიოსანი ადამიანი ხარ, მხარს დაუჭერ ჩვენს წმიდათა წმიდა ბრძოლას საკუთარ სახლში მასპინძლად ყოფნის უფლებებისათვის“.

ძებნა დავუწყე ქალს, რომელმაც ეს ფურცელი გადმოგვცა. აი დგას ის და შემოგვყურებს. სახეზე არ შორდება სევდიანი ღიმილი. სად მინახავს იგი? ერთ და იმავე დროს გადავდგით ნაბიჯი ერთმანეთთან შესახვედრად.

— მარტა, ნუთუ თქვენა ხართ? — ვკითხე მე.

— როგორ მიხარია, — მომიგო მან, — თქვენი, საბჭოთა ადამიანების დანახვა ჩვენს მრავალტანჯულ მიწა-წყალზე, დამიბრუნეთ, გეთაყვა, ფურცელი, ვიცი, რომ მსგავსი მოწოდებები თქვენთვის არაა საჭირო. თქვენ ხომ საბჭოელები ხართ?!

დელეგაციის წევრებს გავაცანი ჩემი თანამოსაუბრე.

— გაიცანით, ამხანაგებო, ესაა მარტა უანდი. შარშან მოსკოვში იყო, მარტა გასაცრად შეუპოვარი ქალია. არც ისე ადვილი იყო კოლონიური რეჟიმის პირობებში პედაგოგის სპეციალობის მიღება. ქმართან ერთად დიდხანს თავამოღობით იბრძოდა იგი ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. აი უკვე ერთი წელია, რაც მან დატოვა კამერუნი და იძულებული გახდა გაცლოდა თავის ქვეყანას. მიტინგის შემდეგ, სადაც აფრიკელთა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა მოწოდებას დაუყოვნებლივ მიეცათ კამერუნისთვის დამოუკიდებლობა, ფრანგებმა დააპატიმრეს ის და მისი ქმარი 24 საათის განმავლობაში ცოლ-ქმარს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რადგან ისინი მოუწოდებდნენ თავიანთ ხალხს გაეძლიერებია ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მაგრამ ჭალათებმა ვერ მოახერხეს განაჩენის შესრულება. სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე საათით ადრე მეგობრებმა დახმარება აღმოუჩინეს მათ. მარტამ მოასწრო კიდევ ორი პატარა ბავშვის წაყვანა. დანარჩენი სამი შვილის შესახებ ახლაც არაფერი იცის.

როგორ გასაცრად სწრაფად, სწორედ რომ უზარმაზარი ნაბიჯებით ვითარდება ჩვენს დროში ამბები. სულ ორიოდე წლის წინათ თითქმის მთელი აფრიკის რუკა უცხოთა ფერებით იყო აჭრელებული. მაგრამ ეროვნული გამოღვიძების გრიგალი, — როგორც ეს თქვა ხუთი წლის წინათ ბანდუნის ისტორიულ კონფერენციაზე ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ, — მიწის პირისაგან ჰგვის კოლონიალიზმის სამარცხვინო ლაქებს.

და აი, კიბორჩხალების ქვეყანა — კამერუნი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მაგრამ ჭერ კიდევ ბრძოლაა საჭირო კამერუნის ინგლისური ნაწილის გასათავისუფლებლად, მთელი მხარის გასაერთიანებლად. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საჭიროა თავდადებული და ხანგრძლივი მუშაობა კოლონიური მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

სულ ახლახან აფრიკაში თითქმის არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ახლა კი აფრიკის 12 ქვეყანა დამოუკიდებელია.

1960 წელს აფრიკის თავისუფალი ქვეყნების ოჯახში შევიდა კონგო, შვეა ნიგერია, სომალი, მალის ფედერაცია. ტაგოს ხალხი უკვე ხარობს თავისი დედაქალაქის ქუჩებში და ზეიმობს ახლახან მოპოვებულ დამოუკიდებლობას.

ამობენ, აფრიკის მზე ბოროტ სულელებსაც კი აფრთხობსო. აფრიკის ხალხები შეუპოვრად იბრძვიან, რათა სამუდამოდ გაათავისუფლდნენ კოლონიზატორთა უღლისაგან.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აფრიკელთა ბრძოლის გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აფრიკის ხალხთა კონფერენციას. ჭერ კიდევ ორი წლის წინათ განის დედაქალაქ აკრაში აფრიკის ხალხთა პირველი კონფერენციის ტრიბუნლიდან შეუპოვრად გაისმა მოთხოვნა — დამოუკიდებლობა ახლანდელი თაობის სიცოცხლეში!

გავიდა ერთი წელი და აფრიკელთა თავიანთ მეორე კონფერენციაზე, ტუნისში, მოითხოვეს — დაუყოვნებლივ თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

1960 წლის აპრილში გვინების ნორჩი რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრში აზიისა და აფრიკის ხალხთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, სამუდამოდ უნდა

გაქრეს და მოისპოს კოლონიალიზმი მთელი მისი უხეში ფორმებითა და საშინელებითო.

აფრიკის ქვეყნებისათვის ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნერკოლონიალიზმის გამოაშკარავებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ნეოკოლონიალიზმი უსაშინელესი მტერია ხალხებისა, რომელთაც სულ ახლახან დააღწიეს თავი კოლონიური მონობის უღელს და დაადგინენ დამოუკიდებელი განვითარების გზას. ნეოკოლონიზატორები ცდილობენ თავიანთი კოლონიური არსი დაფარონ მყვირალა ფრანგებით აფრიკელთათვის მხარდაჭერისა და დახმარების შესახებ.

ნეოკოლონიალიზმის მთავარი წარმომადგენელია აშშ. რა სიძულვილით, როგორი გულისწყრომით და აღშფოთებით ახსენებენ ალჟირელები ამერიკელ იმპერიალისტებს! მათ ამის საფუძველი გააჩნიათ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იარაღით ამარაგებენ ფრანგთა ჯარებს. ამერიკული ტყვიებითა და ყუმბარებით განგებულნი ალჟირელები იულიტიბიან ბრძოლის ველზე.

იმპერიალისტები ყოველ საშუალებას მიმართავენ, რათა თავიანთ გავლენაში მოაქციონ აფრიკის ქვეყნები და დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ თავს ახვევენ მათ ყოველგვარ შეთანხმებას სამხედრო ბაზების შესახებ. გასაგებია, რომ კოლონიზატორებს იმავე დროს არაფრით არ სურთ დათმონ ის პოზიციები, რაც მათ მოიპოვეს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ჩვენ გვიამბეს, რომ კამერუნელებს კიდევ მოუხდებათ ხანგრძლივი ბრძოლის ჩატარება იმისათვის, რათა გააუქმონ საფრანგეთის მიერ მათთვის თავზემოსხვეული არასწორუფლებიანი ხელშეკრულებები.

ბელგიელი კოლონიზატორები მრავალი წლის მანძილზე საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ იმაზე, რომ კონგო „სანიმუშო კოლონიაა“. და აი 1959 წლის დამდეგს ლეოპოლდისა და სტენვილის ქუჩებში ნიადაგრივი იწყო დენა კონგოელთა სისხლმა. საპნის ბუშტივით ერთ წამში გაქრა „სანიმუშო კოლონია“ მითი. მას შემდეგ კონგოში უდიდესი ძლიერებით ვითარდებოდა ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის. ამის შედეგად მიმდინარე წლის დამდეგს ბრიუსელში ბელგიელი კოლონიზატორები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ეგრეთ წოდებული „მრგვალი მაგიდის კონფერენციის“ მოწვევაზე. ხოლო უფრო გვიან კონგოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაც.

კონგო დიდი, მდიდარი ქვეყანაა. იქ უკვე დიდი ხანია შეიჭრნენ ამერიკისა და ინგლისის მონოპოლიები. აშშ-ის მონოპოლისტები ცდილობენ მთლიანად დაეუფლონ ურანის საბადოებს. და აქაც ისე, როგორც ალჟირში, ისევე, როგორც აფრიკის ყველა სხვა კუთხეში, ამერიკელი იმპერიალისტები სასტიკი კოლონიური პოლიტიკის სულისჩამდგმელებად გამოდიან.

ბელგიელმა კოლონიზატორებმა და მათ ზურგს უკან მდგარმა ამერიკელებმა ერთხელ კიდევ სცადეს კონგოში სამხედრო ინტერვენციის მოწყობით ახალგაზრდა რესპუბლიკის დაჩოქება, მაგრამ კონგოსათვის მთელი პროგრესული კაცობრიობის მხარდაჭერის შედეგად ეს ცდაც სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ცნობილია, რომ ნიგერია აფრიკის ყველაზე დიდი ქვეყანაა. მიმდინარე წლის ზაფხულზე ის მიიღებს ბრიტანეთის დომინიონის სტატუსს. ინგლისელებთან აზრით ნიგერიის მოსახლეობა 38 მილიონი კაცია, სინამდვილეში ეს ცნობები ისევე, როგორც ცნობები ამ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესახებ, მნიშვნელოვნად შემცირებულია. კოლონიზატორები საერთოდ, როგორც წესი, ამახინჯებენ სტატისტიკურ ცნობებს აფრიკის ქვეყნებზე. ამას იმიტომ სჩადიან, რომ დაუფარონ, უწინარეს ყოვლისა, თვით აფრიკელებს, სიმართლე მათ სიმდიდრეზე, რათა არაფერი სთქვან აფრიკის ხალხთა ძარცვაზე, ზღაპრულ მოგებათა შესახებ, რასაც ღებულობენ ისინი ბუნებრივი რესურსებისა და მუშა ძალის არნახული ექსპლუატაციის შედეგად.

ქაიროს, აკრის, ტუნისისა და განსაკუთრებით კონაკრის კონფერენციებზე აფრიკა-აზიის ქვეყნებმა აღნიშნეს თავიანთი ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საჭიროება, რადგან მათი აზრით პოლიტიკური დამოუკიდებლობა უმნიშვნელოვანესი პირობაა შემდგომში ნაციონალური ეკონომიკისა და ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად.

როცა აფრიკის რომელიმე ქვეყანას ენიჭება დამოუკიდებლობა, ამ ქვეყნის მთავრობას და მთელ პატრიოტულ ძალებს უდიდესი სიძინელები ეღობება გზაზე. და აქ საქმე არა მარტო იმაშია, რომ აფრიკის ქვეყნებში თითქმის სულ არ არის არავითარი მრეწველობა და საწარმოო ძალები ძალიან სუსტადაა განვითარებული. აფრიკელთა შეგნებაში კოლონიზატორები საუკუნეების მანძილზე ნერგავდნენ უვიცობასა და სიბნელეს.

აფრიკელებს კარგად ესმით, რომ კოლონიალიზმი და ომი ღვიძლი ძმები არიან. ამიტომ ბრძოლა საყოველთაო და სრული განთავისუფლებისათვის, მშვიდობიანი თანარსებობისათვის სულ უფრო და უფრო უკავშირდება ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

რუანდა-ურუნდი პატარა ქვეყანაა. იმპერიალისტებმა სულ ცოტა ერთი თვის წინათ ერთმანეთს წააქედეს ამ კოლონიის მოსახლე ორი ტომი და გამოიწვიეს სისხლისღვრა. ორომტრიალის დროს ისინი ცდილობდნენ შეექმნათ აქ სამხედრო ზაზა. მაგრამ აფრიკელები გაერთიანდნენ და მოითხოვეს დაუყოვნებლივი დამოუკიდებლობა, და იმავე დროს შეუპოვრად იწყეს ბრძოლა კოლონიზატორთა პოლიგონად მათი მიწა-წყლის გადაქცევის წინააღმდეგ.

აფრიკის ერთ-ერთი ქვეყანა სომალის თავის დროზე ნაწილად იყო დაყოფილი, რაც ძლიერ უადვილებდა კოლონიზატორებს თავისუფლად ეპარპაშნათ სომალში. ახლა, 1960 წელს, დამოუკიდებლობა ენიჭებათ სომალის ბრიტანულ და იტალიურ ნაწილებს. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს, საფრანგეთი ჯერ არც კი ფიქრობს მიანიჭოს ამ ქვეყანას დამოუკიდებლობა, რადგან მას კარგად ესმის სომალის ამ ნაწილის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. ნაციონალისტური ძალები ანვითარებენ სომალელთა შუღლს თავიანთი მეზობლებისადმი, რათა გამოიწვიონ არეულობა.

აფრიკის ხალხებს კოლონიური სისტემის გარდაქმნა კი არ სჭირიათ, არამედ მისი მთლიანი ლიკვიდაცია. ერთა ბრიტანული თანამეგობრობა და ეგრეთ წოდებული ფრანგული თანასაზოგადოება ნეოკოლონიალიზმის გამოვლინების ფორმაა მხოლოდ. და რასაკვირველია, შემთხვევითი როდია, რომ აფრიკის ქვეყნების სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობა ადგია დამოუკიდებლობის მოპოვების გვიანესულ გზას.

გვინების თავისუფლებისმოყვარე ხალხი დეგოლისეული კონსტიტუციით რეფერენდუმის ჩატარების დროს ერთსულოვნად გამოვიდა მის წინააღმდეგ და მოითხოვა ნაციონალური დამოუკიდებლობა. კოლონიზატორებმა გადაწყვიტეს გვინების ნორჩი რესპუბლიკის მოშობა. მაგრამ გვინეელებს მხარი დაუჭირეს სოციალისტურმა ქვეყნებმა, დაეხმარა საბჭოეთის ქვეყანა და სესხად მისცა 142 მილიონი მანეთი. გვინეას ძმური სოლიდარობა და მხარდაჭერა გაუწიეს აფრიკისა და აზიის ხალხებმა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ და გვინების დემოკრატიულმა პარტიამ საშუალება არ მისცეს კოლონიზატორებს გამოეთიშათ თავიანთი ქვეყანა მთელი მსოფლიოსაგან. გვინეა არ შევიდა ფრანგულ თანასაზოგადოებაში, გამოვიდა საფრანგეთის ზონიდან და ახლა შრომობს ეკონომიური განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ინგლისის შორეულ კოლონია კენიაში ჭადასახლებაში იმყოფება აფრიკის თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯომო კენიატი. ამ მამაცი ადამიანის ხმას უსმენენ უგანდისა და ტანზანიის, ზანზიბარისა და ნინსედედის, როდესიხა და ანგოლის — აფრიკის ყველა ოცი ქვეყნის ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კოლონიური მონობის უღელქვეშ. ჯომო კენიატოს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: „ცუდად, ძალიან ცუდად ცხოვრობს კოლონიზატორი აფრიკის მიწა-წყალზე. ირგვლივ იწვის ყველაფერი: ზევით მზე, ქვევით—ნიადაგი: მაგრამ ყველაზე მეტად იწვის კოლონიზატორი მამანი, როცა თავისი ჭუჭყიანი ხელით ცდილობს შეეხოს აფრიკელის მგზნებარე გულს, რომელიც ვულკანით აღმოტყორცნის თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისადმი სიყვარულის უსასრულო ნიადაგს“.

მახსოვს, ერთხელ მავრიტანიის პრინცმა სისე ჯაქრიამ, ფინჯანი ყავის სმის დროს შენიშნა, აფრიკის ტრაგედია ადვილი წარმოსადგენიაო.

— ჩემს ხალხში, — თქვა ჯაქრიამ, — დიდი ხანია მოვიდა დაუბატიუებელი სტუმარი. ჯერ ლოგინიდან წამომაგდო, შემდეგ მითხრა, არ შემიძლია დამლაშობით შენი ხვრინვა ავიტანო და გარეთ გამაგდო. თითების ლოკვით ხარბად შესანსლა ყველაფერი, რაც ჩემი შრომით შევიძინე. გული გაიგრილა ქოქოსის რძით, „სტუმარმა“ მხარზე ხელი მომიტათუნა და მარწმუნებდა შენი ბედნიერებაა ის, რომ კისერზე გაწვიარო. ნუთუ დრო არაა, კინწისკვრით გავაგლოთ ეს სტუმარი?

— დროა, დიდი ხანია დროა! — ამბობს მებრძოლი აფრიკა. და მთელ მსოფლიოს ესმის როგორ დგება კოლონიალიზმის აღსასრული.

**მიხილ ჯიბლამე,**

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

*საერთაშორისო კომუნისტური*

**გიორგი კალანდაძე**

**სიმღერა**

რიკრაჟზე ფრთაყარ ფრინველთა ჯღერტული ეზოს და მიდამოს ფრენით გადაუვლის, ბურჩი შეირხევა გულგადაბურდული, როგორც სასწაული.

კვირტი გადმოვარდნას ბულიდან დააბირებს, ვარდი ნადრევი გაშლის სურნელებას, ბალში შეპარული ქოჩორა აპრილი ატმებს თავს ევლებს.

თითქოს—და, მინდიას სმენა გაქვს ამ დილით, მინდვრად გაიჭრები ვაქაკი დღესე.

გვსმის ბუნების მოწოდება ნაწვდელი «თესე!.. თესე!»

თესე, სიყვარულის თავთუნი ღვიოდეს, ხე, შენგან დარგული, იღვამდეს ფსგებს, წვრილშვილი გეხვიოს ბარე ათიოდე, სიკეთე თესე!

ფერდობებს მოჰფინეთ ფარები, მწყემსებო, პოეტო, მშვიდობის პანგები ჰკვესე! სამშობლომ იხაროს — დე, ხატად გვესვენოს გულს მცნება ესე.

**არჩილ გურჯიამ**

**წ ვ ი მ ს...**

წვიმს...  
ყვითელ ბალებს,  
შიშველ გორაკებს  
გამოუსუნდათ ფერი სრულებით.  
წვიმს და...  
ლობსთან, დღეს რომ მორაგვეს.  
თუთები ჩანან გაწუწულები.  
ცას უნდა თითქო  
თქეში გალობა, —  
გახსნას პირი და ზღვად დაედინოს.  
წვიმს...  
სიწყნარეა...  
აქვე მასლობლად,  
ამ დია ცის ქვეშ სძინავს დედოფლს...  
მღუმარედ დგანან  
თუთის გუნდები, —  
გუცქერ და  
გულში ერთ ფიქრს გავივლებ:  
წვიმს სვავრიელად,  
წვიმს გამუდმებით,  
დედის საფლაკზე აწვიმს ყვავილებს.

**ეთერ გამგებელი**

ეს გოგონა გორის II საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ეთერ გამგებელია. თანაკლასელებთან ერთად იგი წარმატებით ეუფლება გორის ბამბეულის კომბინატში მგრეხავის პროფესიას. ეთერ გამგებელმა ადვილად გაიგო მგრეხავის პროფესიის ყველა „საიდუმლოება“, გამოცდილი ოსტატის ყარამან ჩალაურის ხელმძღვანელობით დრმად ჩასწვდა ნართის გრეხვის ტექნოლოგიური პროცესების შინაარსს.



ყოველ სამშაბათს, აღნიშნული სკოლის IX კლასელები სამჭროში არიან ოთხი საათის განმავლობაში, ისმენენ თეორიულ კურსს, პრაქტიკულად მუშაობენ საგრეხ-საორფებელ მანქანებზე. ეთერიც მათთანაა ყოველთვის და ხალხით ეუფლება სასურველ პროფესიას.

სიმწიფის ატესტატთან ერთად ეთერი მიიღებს მგრეხავის მოწმობასაც.

# რეკონსტრუქციის გზა

ეთერ სოლომონია დაიბადა ცხაკაის რაიონის სოფელ ნოსირში. ეს სოფელი ჩვენს ლამაზ სოფლებს არ გავს, ტრიალი მინდორია. შუა მინდორში სახლები დგას და კრამიტის ქარხანა, ციფერ რკინიგზა ჩამოუდის და გზის ნაპირას თეთრი კენჭებით მიწას აწერია „მშვიდობა მსოფლიოს“. ამ სადგურიდან გააცილა თავისი ქალიშვილი 15 წლის წინათ ბეგლარ სოლომონიამ, იმ აზრით რომ ქალაქში კერვას ისწავლიდა, მაგრამ ეთერმა ქსოვა ისწავლა, საქარხნო-საფაბრიკო სკოლა დაამთავრა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ეს ყველაფერი დედის სიკვდილის შემდეგ მოხდა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მას გულ-თბილად შეხვდნენ. დაეხარნენ პროფესიის ათვი-


ბმაც წამოსვლის წინ სადგურზე გამოცილეს და ცრემლიანი თვალები გააყოლეს ვაგონს, რომლის ფანჯარასთანაც მიუყუებული ვიყავი და მამას ხელს ვუქნევდი. გამახსენდა და ტირილის გუნებაზე დავღეძი.

დღეს კი ვამბობ, რომ ფაბრიკა ჩემი მეორე ოჯახია, მე მას მშობლიურ ვუწოდებ. ვუწოდებ იმიტომ, რომ მე მან აღმზარდა. ცხოვრების გზაზე გამომიყვანა, და მომიცა უფლება: ვთქვა: „ბედნიერი ვარ“ აქვე, ფაბრიკაში მუშაობის დროს დაუსწრებლად დავამთავრე საშუალო სკოლა და ახლა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ვემზადები. აქვე, ამ ფაბრიკაში, განვიცადე უდიდესი სიხარუ-

მუშაობა ვცხადდები 15-20 წუთით ადრე, გამოწმენდა დაზვერვა, ვაწესრიგებ სამუშაო ადგილს და ვიწყებ მუშაობას. დღეში ვაკეთებ 50 წუთის ეკონომიას და ამ დროში ვეგმის გადაამეტებით ვქსოვ 3 მეტრ ქსოვილს. ყველაფერ ამას ვახერხებ იმის უფლებებით, რომ დაუფლებული ვარ ტექნიკურ პროცესებს. ხოლო ეს მონდომებული მუშაობის შედეგია. მამა ვარია მონდომება და ნებისყოფა. მიუღწეველი არაფერი არ არის, თუ საქმეს ბეჯითად მოეცილები. მგონი თავიც შეგაწყინეთ, მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ დავწერე, ყველაფერი მაინც ვერ ვთქვი“.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუ როგორ მუშაობს ახლა ეთერ სოლომონია, საქმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი: მარტის თვეში მან გვემა 124%-ით შეასრულა, აპრილის თვეში — 130%-ით. მაისის თვეში — 140%-ით, ივნისის თვეში კი — 145%-ით.

ნოდარ თამარაშვილი.



## სიხივის გავლენით

რკინიგზის სიგრძე მოსკოვსა და ლენინგრადს შორის ზამთარში სამასი მეტრით კლებულობს. ასეთივე ამბავი მოსდის ეიფელის კოშკს. იგი ზამთრის პერიოდში სიმაღლეს 15 სანტიმეტრს კლებულობს.

თუ რამდენად მოქმედებს დიდ ლითონის კონსტრუქციებზე დაბალი ტემპერატურა. აშკარა ხდება შემდეგი ფაქტიდან: 1927 წელს პარიზში მდინარე სენაზე გადებული რკინის ხიდი ყინვის გავლენით იმდენად შეიკუმშა რომ გამოიბერა და შემდეგ მასზე დაგებული ქვაფენილი აიყარა. იძულებული იყვნენ ხილზე მიმოსვლა შეეჩერებიათ და შეეკეთებიათ იგი.

## ჭრიჭინა — თერაპიუტი

ჭრიჭინამ შეიძლება საკმაოდ ზუსტი თერაპიუტირის სამსახური გასწიოს. თუ გინდათ გაიგოთ პაერის ტემპერატურა დასთვალეთ რამდენჯერ დაიჭრიჭინებს ჭრიჭინა თხუთმეტი სეკუნდის განმავლობაში, მერე მიუმატეთ ამ რიცხვს 37. მკვლევარები ამტკიცებენ რომ მიღებული შედეგი უდრის პაერის ტემპერატურას ფარენგეიტით.

## სპილოსა და... ზვიგენების ბრძოლა

ბუნებაში იშვიათი შემთხვევა — სპილოს ბრძოლა... ზვიგენებთან — ნახეს ამას წინათ აფრიკელმა მეთევზებმა ინდოეთის ოკეანეში. კინის სანაპიროდან რამდენიმე მილის დაშორებით, როგორ აღმოჩნდა ჯუნგლების ბინადარი ღია ზღვაში?

რამდენიმე კვირის განმავლობაში აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე არ იყო წვიმა. აუტანელმა წუხრილმა იძულებული გახადა სპილო გამგზავრებულყო პატარა კუნძულისაკენ ათი მილის დაშორებით. იმ იმედით, რომ ეპოვნა მტკნარი წყალი. აქ „მეზღვაურს“ მოულოდნელად თავს დაესხა ზვიგენების ხროვა. ყველა მხრიდან ალყა შემორტყმული ბუმბერაზი. გაბედულად შეებრძოლა ონავრებს. მან თავისი ბასრი ეშვებით რამდენიმე მტაცებელი მოკლა. ნახევარი საათი გრძელდებოდა ეს უთანასწორო ბრძოლა, სპილო კი არ ნებდებოდა. მაგრამ აი, ერთმა ზვიგენმა მოახერხა და ყელი გამოუფატრა სპილოს. ეს იყო დასასრული ბრძოლისა. საშინელი სიკვდილისწინა დეჟელი შორს გავრცელდა ოკეანეს ზედაპირზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ზვიგენებმა დაგლიჯეს დამარცხებული მტერი.

სკვაში, გამხნევეს, მზარში ამოუდგნენ. ეთერი მუყაითი იყო, ბეჯითი, წყნარი, თავისი საქმის მოყვარული. ხედავდნენ ამას და ყველას უყვარდა. მალე ეთერს ორე დაზგა ჩააბარეს, შემდეგ სამი და სულ მალე მის შესახებ მთელი ფაბრიკა ალაპარაკდა, შემდეგ მთელი თბილისი და დღეს ხომ ყველამ იცის ფინ არის ეთერ სოლომონია!

როცა ეთერ სოლომონია პირადად ენახე და ეთხოვე ეამბნა თავის მუშაობაზე, მან თქვა: — იცით რა, მე ლაპარაკი არ მინებებია, მოდი მე დავწერ რაც მაქვს სათქმელი და მკითხველებს თქვენ გადაეცით. და აი, რა დაწერა ეთერ სოლომონიამ...

„თოთხმეტი წელიწადია დაზგასთან ვდგევარ და სიხარულით ვქსოვ. სიხარულით იმიტომ, რომ იგი აღამიანებმა მომანიჭეს და მათვე მინდა გადავცე. დღევანდელ დღესათვის მასსოვს 1946 წლის 17 დეკემბერი. მაშინ მე პირველად შევდგი ფეხი ფაბრიკაში. უზარმაზარი საამქროები... ხმაურიანი დაზგები... მოკისტეს ქალიშვილები, რომლებსაც სრულებით არ ეშინოდათ ამ უცნაური მანქანებისა. მე კი დღე გამოგიტყდებით დაზგის შემეშინდა, გავიფიქრე: ვერასოდეს შევეგუებო ამ მანქანებს-მეთქი. ხმაური იყო, ყურის წამლები ხმაური... მაშინ მე საწყალი მამაჩემი მომავლენა. ჩემი დები, რომლებ-

ლი. ეს დღეც დაუვიწყარი დღეა ჩემთვის. ეს იყო მიმდინარე წლის 8 მარტი. უეტრად ზღვა ხალხი გარს შემომხვია, მთელი ჩემი საამქრო ხალხით აივსო. ყველა მე მილოცავდა, ყველა მე მიღიმოდა. მოდიოდნენ, ხელს მართმევდნენ, მეკითხებოდნენ, მელაპარაკებოდნენ, მთელი დღე გაბრუებული დავდიოდი, სახლში რომ მოვედი დეპეშა დამხვდა: „გილოცავ, შვილო, გაიხარე ჩემი გახარებისთვის, ბეგლარი“. ამ დღიდან მე სოციალისტური შრომის გმირი ვარ. დღეს მე ქარხანაში ყველა მიყვარს და ყველას ვუყვარვარ. მე უკვე ობოლი აღარა ვარ. და თუ დღეს წელგამართული ვარ და ფაბრიკაში სამაგალითო, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მეგობრებს ინსტრუქტორ ლუბა ადამიას და ოსტატ ლადო ლეჟავას. ისინი იყვნენ პირველები, რომლებმაც გაჭირვების ეამს ხელი შემაშველეს, გამხნევეს. დამხმარნენ. დაზგა შემავყარეს.

როგორ ვახვი გმირი? შევეცდებო მოკლედ გითხროთ: მთავარია დროის ეკონომია და ტექნიკური პროცესების ზედმიწევნით ცოდნა. მაგალითად ქსელწყვეტილის ლიკვიდაციის გეგმათ გათვალისწინებული ორმოცი წამის ნაცვლად ვახვიდნე ოც წამში. ნაცვლად 5 წამისა, მაქვს 3 წამში ვაწყობ, სა-

იმ დამეს მორიგე ლოცმანი იუსუფ გოგიტიძე იყო. ნაცნობი გვარია, არა? დიახ, ის თბომავალ „გრუზიას“ სახელოვანი კაპიტნის გოგიტიძის შიძე- შვილია. და მასაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს. პატარა ბიჭობაში შეიყვარა იუსუფმა ზღვა, დაცუ- რადეა ნავსადგურის ბუქსირებით, მეთევზეთა სეი- ნერებით, სწავლის დროს. მუშაობდა მტვირთავად, ახლა კი ზღვის სახელმწიფო ლოცმანია. გოგიტიძეს ნავსადგურში შემოყავს და მისადგომთან აყენებს რომელიღაც ვეებერთელა ხომალდს. დანარჩენი გემები ერთბაშად დაიჩრდილნენ, გვერდზე მიდგ- ნენ, არასაინტერესონი გახდნენ.

მძლავრი და ლამაზი გემის პორტს ოქროს ასოე- ბით აწერია სახელწოდება და ზედ აღნიშნულია ნავსადგური, სადაც ის მიწერილია. ესაა სადარბაზო ბარათი, რომელიც სავსებით უპასუხებს მკაცრ სა- ზღვაო ეთიკეტს... მაგრამ მე, ვერც კი მოვასწარი სახელწოდების ამოკითხვა, ისე ნაჩქარევად წამო- ვიძახე „გენერალი ჩერნიახოვსკი“. მომიჩვენა, რომ ვიცანი საოკეანო გემი, რომელიც ძალიან მომეწონა წინა ჩასვლის დროს.

— აი თქვენ დასაჯეთ დიხანს აქ არყოფნის გა- მო, — ღმილით მეუბნება მთავარი ინჟინერი და ნავსადგურის უფროსის მოადგილე გიორგი ვატი- ვი. — „გენერალმა ჩერნიახოვსკიმ“ უკვე დას- რულა თავისი ამბავი. კარგი გემი კი იყო, მაგრამ... წინათ. ეს კი „ლენინსკი კომსომოლია“. ქარხნიდან გამოსვლის შემდეგ პირველ მოგზაურობას ამთავ- რებს. კუბის ნაპირებიდან შავ ზღვამდე ამ გემმა სა- რეკორდო სიჩქარე დაამყარა სატვირთო გემებისა- თვის!

... ნუთუ ასე დიდი დროა სამი წელი! სწორედ ამდენივე ხანია, რაც აღარ შევხვედრივარ ნავსად- გურის უფროსს კონსტანტინე რეკვაიას. მინაც აქ, ფოთის მადნულთობის მისადგომებთან დაიწყო მტვირთაობა. ფოთის ნავსადგურის ცხოვრებაში მოჩანს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და სწრაფად განვითარებული ტექნიკა- გები, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა 1957 წელს, უკვე უიმედოდ მოხუცდა, ჩამოწერილია და გაგზავნეს გადასადგობად.

მასთვის, სულ ახლახან, ყელამდე დატვირთული გემები მისადგომებიდან გაჰყავდა ბუქსირს „კრასნი ოქტიბრს“. იმაზე უფრო მძლავრი არ იყო არც ფოთში, არც ბათუმში. მინტერესებს, სადაა ახლა ეს ბუქსირი?

— სამართლიანობა მოითხოვდა და ის მხარეთ- მცოდნეობის მუზეუმშია, — დაუყოვნებლივ შემე- სიტყვა ვატივი. — როგორც „ავრორა“ ლენინ- გრადში, ჩვენი „კრასნი ოქტიბრიც“ იდგომება რიონზე, ქალაქის ხიდან. ეს რევოლუციის ვეტე- რანებმა უშუალოდ მოგვს. ამ ბუქსირმა მთავარი როლი შეასრულა ფოთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას. ბოლშევიკებმა მასზე დადგეს ტყვია- მტრქვევები, იზოვნეს ზარბაზანი და გმირულად იბრძოდნენ. კაპიტნის თანაშემწე ბუქია და მექანი- კოსი გაბესკირია უკანასკნელ დრომდის „კრასნი ოქტიბრზე“ დაცურადნენ. ყველაზე მეტად სწო- რედ ისინი ცდილობდნენ ბუქსირის შენარჩუნებას და გადაარჩინეს იგი მარტენის ლუმელს...

ქალაქში წვიმს და წვიმს, უფრო ხშირად, ვიდრე ეს სასურველია. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, რო- გორც მრავალი წლის წინათ, ახლაც მოთავსებუ- ლია სამმართველო დიდი ორგანიზაციის ტრესტ „კოლხიდმშენისა“, რომელიც აწარმოებს კოლხი- დის გარდაქმნას. ქალაქის ხიდებთან შეიძლება და- ვინახოთ მიწისმწოველი მანქანები. ეს მანქანები შექმნილია აქვე, ფოთში — მშვიდობის ქუჩაზე.

ეკვი არაა, რომ „კოლხიდმშენისა“, მიწისმწოველ

მანქანათა ქარხანასაც, და ეს-ეს არის ხარაჩოები- საგან გათავისუფლებულ ქარხანა „ელექტროაპა- რატს“ დიდი მომავალი აქვთ. განვითარდებიან, კი- დევ უფრო მეტად სასარგებლო საქმეს გააკეთებენ. და მინც ისინი როდი ცვლიან ასე მედგრად და შეუპოვრად ფოთის ბედსა და სახეს.

შავი ზღვის ყირიმისა და კავკასიის სანაპიროზე არ არის ფოთის ნავსადგურზე უფრო მოხერხებუ- ლი და საიმედო ნავსადგური. მის ორ სამრეწვე- ლო რაიონში ყოველდღიურად „ამუშავებენ“ რამ- დენიმე მილიონ ტონა ტვირის. და დიდი საზღვაო სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის ყველა მრავ- ლრიცხოვან ნავსადგურთა შორის ჩვენს ფოთის მეორე ადგილი უჭირავს საწარმოო გემების შეს- რულებაში.

მხოლოდ ერთი რამაა გაუგებარი, და ეს გამოვთქ- ვი ვატყვებ: — გეორგი ფეიონოვიჩი, — ვუთხა- რი მას, — ხრამ ტანსაცმელს ფოთის ნავსადგურს რომ უწოდებთ მადნულთს უზარმაზარი კონვეიერის ცენ- ტრალური რგოლი, რომელიც გადაჭიმულია ჭია- თურის მარგანეცის აუზიდან ჩვენი ქვეყნის სამ- ხრეთისა და ცენტრის მეტალურგიულ ქარხნებამ- დე. მაშ რატომ დგანან ახლა მრავალიცხოვან მი- სადგომებთან ჩვენი — საბჭოთა, და საზღვარგარე- თული — ხომალდები უმთავრესად სხვა ტვირ- თით? ალბათ, რამეც უმთავრესი მოხდა, ხომ?

პასუხად ეს გავიგონე: — საზღვარგარეთელ სახელმწიფოებთან მეგობ- რული კავშირის დამყარებამ, ჩვენი მთავრობის მტკიცე კურსმა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შვი- დობიანი თანაარსებობისათვის, საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან გაფართოებამ დიდი ზაღუნა მთა- დინა ისეთი დიდი ნავსადგურის საქმიანობაზე, რო- გორცია ფოთი. იგი სულ უფრო და უფრო ხდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქონელ- ბრუნვის სატრანზიტო ნავსადგური, კერძოდ, ფო- თის ნავსადგურიდან მიდის სხვადასხვა ტვირთი მე- გობრულ ავლანისტიანისათვის.

— გონების თვლით გადახედეთ გეოგრაფიულ რუკას. აბა, სადა ძვეს კუნძული კუბა, და სადაა საბჭოთა ფოთი. წლინახევრის წინათ ჩვენ კუბის ალამასაც კი არ ვიცნობდით. ხოლო, როცა კუბელი ხალხი წელში გაიმართა, ამერიკელი კოლონიზატო- რები თავის ქვეყნიდან გაჰყარა და ხელთ აიღო საკუთარი ბედის მართვა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ თი- თქოს ვეერდ-ვეერდ ვცხოვრობდით. ერთი ან ორი კვირის განმავლობაში გემი მოდის კუბის რესპუბ- ლიკის დედაქალაქ და მთავარ საიმპორტო ნავსად- გურ ჰავანიდან. ჩვენმა მთავრობამ, კუბის დასახმა- რებლად და მისი მამაცი ხალხის მხარდასაჭერად, სავაჭრო ხელშეკრულება დასდო და ყოველწლიუ- რად ვყიდულობთ ერთ მილიონ ტონა შაქარს. და ჰავანიდან იწყეს მოსვლა ხომალდებმა ფოთში...

ნავსადგურის ბუქსირმა ესესა ნავმისადგომიდან გაიყვანა ინგლისური გემი „ტეკერეი“. იგი 17 საათს კიდევ უნდა მდგარიყო. კაპიტანი და გემის მთელი შემადგენლობა დიდი სიამოვნებით დააყოვნებ- დნენ აქ.

დაყოვნება კი ხელს აძლევდა მათ. არსებობს სა- ერთაშორისო საზღვაო კანონი — თუ ნავსადგურმა დააგვიანა და დანიშნულ ვადაზე ვერ მოასწრო სა- ზღვარგარეთული გემის გადმოტვირთვა, მაშინვე, სიტყვის უთქმელად უნდა გადაიხადოს დემირიჯი— ჯარიმა, და პირიქით, თუ დროზე ადრე გაუშვა ხო- მალდი, მიიღებს დისპატჩს — პრემიას. ცხადია, კაპიტნები ამჯობინებენ ვალუტის მიღებას, ვიდრე თავიანთი სალორიდან გირვანქა სტერლინგებისა და დოლარების ამოღებას. „ტეკერეი“ ჩვიდმეტი საა- თით ადრე დასცალეს, — კაპიტანმა მითროლ-

ვარე ხელით ჩააბარა „ინფლოტის“ ფოთის განყო- ფილებას დისპატჩი — 518 გირვანქა სტერლინგი. ამასთან ჯენტლმენი ვალდებულია გაიღოს კიდევც და მადლობა თქვას კარგი მომსახურებისათვის.

წარმოიდგინეთ, როგორ იგრძნობდა თავს დასავ- ლეთგერმანული გემის „ბრაგეს“ კაპიტანი, როცა მოუხდა 2517 დოლარის გადახდა. მისი გემი დასცა- ლეს დანიშნულ ვადაზე ექვსი დღით ადრე. დიახ, ამ მხრივ ფოთის პორტის მუშებს გარკვეული რე- პუტაცია გააჩნიათ — ისინი მულამ ლეზულობენ დისპატჩს და არასოდეს გადაუხდიათ ჯარიმა. აი სად მართლდება ცნობილი ამერიკული ანდაზა, მა- თი ცხოვრების უმაღლესი წესი — დრო ფულიაო!

კაპიტანის ზარალი, ცხადია, არაფრით არ აწუ- ხებთ საზღვარგარეთული გემების მატროსებსა და ცეცხლფარეშებს. საბჭოთა ნავსადგურში ვატარე- ბული ზედმეტი საათები მათ სხვა სიხარულსა და სარგებელს უქადის. ხშირად ეს უბრალოდ ხსნა, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ცოტა ფულს აქე- თებს თავის ძველ საზღვაო ნაგებზე ცურვისას.

არავითარი საიდუმლო და სამარცხენო აქ არ არის, საბჭოთა კავშირში, უადრესად კვალი- ფიციურ სამედიცინო დახმარებას უფასოდ უწევენ ყველას, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ექიმს ფული უნდა მისცე და არც ისე ცოტა!

ფოთის მეზღვაურთა პოლიკლნიკის ექიმები — თერაპევტები, ქირურგები, სტომატოლოგები — ბევრ საინტერესოს მოგვიტობენ ინგლისური, სკანდინავური, გეგებტური, დასავლეთგერმანული, ბერძნული, თურქული და ფინური გემებით ჩამო- სულ თავიანთ პაციენტებზე. ცეცხლფარეშ ბინების პილიები ჯერ ისევ თავის მშობლიურ ლივიერპულში ატკივდა, ბოცმანმა უჩრია, პირში ზღვის წყალი ივლე და ფოთამდე მოიბრუნა. საბჭოთა ექიმები არასოდეს არ ახდევინებენ ფულს პაციენტს, არც ერთ შილინგს არ ლეზულობენ მისგან. ბოცმანმა საკუთარი გამოცდილებით იცის ეს, ოდესაში უფა- სოდ ამოტრეს მას აპენდიციტი. და წამალიც კი აჩუქეს ავადმყოფი ბავშვისათვის.

... მაგრამ დავეტრუნდეთ კუბიდან ჩამოტანილი შაქრის ამბავს, უფრო სწორად, ერთ პრობლემას, რომელიც წამოიჭრა მაშინვე, როგორც კი გადმოსა- ტვირთავდ ჩამოდგნენ პირველი ჰავანელი ხომალ- დები. საბჭოთა კავშირის ნავსადგურებში თითქმის მთლიანად მოიშო მტვირთავის მძიმე, ადამიანთა ძალღონის გამოფიტავი პროფესია. ტვირთის მხო- ლოდ რამდენიმე პროცენტს ამუშავებენ ხელით. მას- თან პროფკავშირებსა და საზღვაო ფლოტის საში- ნისტროს შორის შეთანხმებით „სტანდარტი“, ანუ ერთი კაცის ასაწევი ტვირთის წონა, ასი კილოგ- რამიდან. დაყვანილია ორმოცდაათამდე. და უცბად აღმოჩნდა, რომ კუბის შაქრით სავსე ტომრები 120 კილოგრამამდე იწონიან. კარგი არჩევანი შეუთა- ვაზებიათ თავიანთი მონებისათვის ამერიკელებს — ან წელი მოიწყვიტე და სული დაფე, ან იშინშილე და ჩაკვდიო!..

რა უნდა ექნათ ფოთელ პორტის მუშებს, რო- გორ გამოსულიყვენ მდგომარეობიდან? ხომალ- დებს კი მოჰქონდათ და მოჰქონდათ შაქარი. მოიქ- ცნენ ჩვენებურად, საბჭოურად. ტრიუმფიდან კუ- ბის შაქრის გადმოსატვირთავად და ვაგონებში შე- სატანად გამოიყენეს სპეციალური ტრანსპორტიო- რები, მექანიზმები, ამუშავები.

... აი როგორია სინამდვილეში ჩვენი ფოთი. მისი სტუმართმოყვარული ნავსადგურისა და გულთა ადამიანების სახელს ოკეანეთა და ზღვის თვალ- უწყდენ სივრცეებს ჰყვენ ხომალდები.

ილია მუხამი

# ქალის შედეგზე



ჩემი სოფელი მთებს შუა მოქცეული. სოფელში მაღალი სახლებია და ლამაზი ეზოები... სოფლის თავში ატეხილი ტუყებია, გაღმა-გამოღმა გორაკები, ახლები, სათიბები, საძოვრები...

სოფლის ბოლოში სარუფე ღუღუნებს წიქვილი. წყალგაღმა ქალებია, ქალებში ოლეები, ალაგ-ალაგ ნამეხარი მუხები და გაელვებასავით დაკლანკილი ბილიკი...

ჩვენი სახლი სოფლის ცენტრში დგას. სახლის წინ ხილის ლამაზი ბაღია, ბაღს გარშემო ქართული ღობე აქვს შემოვლებული. ეზოში ბომბორა ძალი წევს და ჩვენთან მომსვლელი მეზობლებიც შორიდან იძახიან.

დედა დიასახლისია, მამა მევენახე, მე — მოსწავდე. საშუალო სკოლას წელს ვამთავრებ.

განთიადისას აღმოსავლეთით ცინაპირი რომ ინათებს, ჩვენი სახლის თავზედაც აისვეტება ტუყისფერი კვამლი. ეს იმას ნიშნავს, რომ დედა უკვე ფეხზეა და ჩვენს ადგომამდე საუზმის მოსწრებას ცდილობს.

დედა ფრთხილად, უხმაუროდ აკეთებს ყველაფერს, მაგრამ ჩვენ მაინც გვეღვიძება.

მამა ყველაზე პირველად ფანჯრიდან ცას გახედავს, როგორი ამინდიაო. ჩემთვის კი ამას მნიშვნელობა არა აქვს. შემდეგ მე და მამა ვდგებით, ვიცვამთ, ვიბანთ და მავიდასთან ვვდებით. დედას წინსაფრის ბოლო დაუტანებია ხელზე და ისე შემოაქვს ცხელი საუზმე. მამა თავის გვერდზე ცარიელ სკამს სთავაზობს დედას.

— დღეს აღარ დალიო. ცოტა ადრე მოდი, ხომ გახსოვს, რა უნდა გავაკეთოთ. ის კაცი გუშინაც იყო და გიყითხა. დღეისათვის დაგიბარა, დამხვდით...

„ის კაცი“ ბიძაჩემია, მეზობელ სოფელში ცხოვრობს. ვენახის გაშენება უნდა აღბათ, მამას რომ იბარებს.

— კარგი, მაღე მოვალ.

— გეხვეწები, გუშინდელი ვით ღვინოსავამი აღარ მოხვდეთ. კაცო, ამდენი საქმეები გვაქვს და შენ კი არ ხეინად სვამ.

— თუ ვსვამ, კარგად მიქნია... დავლევ, რატომაც არ დავლევ? შენ და ლევანი შეგულებოდეთ კარგად, თორემ ღვინოსაც დავლევ და კარგადაც მოვილხენ!

— ღმერთო ჩემო, ვინ გადაშირია შენი თავი, იმ ჩემი ცოდვით სავსემ. მე გეხვეწები არ დალიო, ბევრი საქმეები გვაქვს-მეთქი, შენ კი იმუქრები...

— ზო. ზო, კარგი, კარგი, გაგებუმრე.



## პალკიან ჩაქარიანილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი

შე კაი ქალო. მაგის გულისთვის როგორ გაწყენინებ?! ნუ გამიჭავრლები და თუ გინდა ღვინის სახელსაც არ ვახსენებ.

საუზმის შემდეგ მამა გემრიელად აბოლებს, შემდეგ ბედლის თავზე შემოდებულ თოხს იღებს და კოლეტივის ვენახში მიდის. რამდენიმე წუთის შემდეგ მეც ვიღებ ხელში ჩემს წიგნებს, გამოსასვლელად ვეშადები და დედაც შემოდის სამზარეულოდან... კალთიდან იღებს ლოყაწითელ ვაშლებს და მამდევს:

— ერთი შენ, ერთი თამრიკოს წაუღე.

მე დედას შუბლზე ვკოცნი და გახარებული გავრბივარ. სოფლის გზაზე



ხტუნვა-ხტუნვით ვეშვები და წელაურთა სახლთან წნელის ღობეზე შემდგარი ვაძახი:

— თამრიკო! — შემდეგ გზის მხარეს მინაგაბზარულ ფანჯარას ვუყურებ.

ჩემი ხმის გაგონებაზე თამარი დამფრთხალი ჩიტოვით მოაწყდება ფანჯარას, ადებს და გადმომძახის:

— მოვდივარ, ლევან, ახლაც მოვდივარ. — შემდეგ იხურება ფანჯარა და მესმის კარების გაღებისა და დახურვის ხმა, მესმის, როგორ ჩამორბის კიბეებზე თამრიკო და რამდენიმე წუთში დილა მშვიდობისას მეუბნება.

წისქვილთან რომ ჩავვილით, ძია მიხეილს ყოველთვის გარეთ ვხედავთ, — დოლაბზე ზის და ჰკოლავს. ვესალმებით. ღმერთმა დღეგრძელი მოგცესთო, გვლოცავს და კვლავ დოლაბს უკაკუნებს.

წისქვილის წყალს გადავდივართ. აქედან იწყება ქალა და ბილიკი. თამარი ხელზე ხელს მკიდებს:

— ლევან, როდი ვირბინოთ.

— ჭერ მოიცადე, — ვეუბნები, ჭიბიდან ლოყაწითელ ვაშლს ვიღებ და ვამდევ. შემდეგ გავრბივარ.

თამარს ძალიან უყვარს წითელი ვაშლები. ხშირად მეორე დღემდე ატარებს ჩანთით.

ჩვენ მეზობელ სოფელში ერთად დავდივართ სკოლაში. ერთ კლასში ვსწავლობთ, მაგრამ ერთ მერხზე არასოდეს ვმჯდარვართ.

გაკვეთილების შემდეგაც ერთადვე ვბრუნდებით. ნელა მივყვებით ქალაში გაელვებასავით დაკლანკილ ბილიკს.

— ლევან, გახსოვს, შარშან ამ დროს იები იყო მოსული.

— მახსოვს.

— მოდი ვნახოთ, იქნება ახლაც არის.

ვათვალეირებთ ბუჩქის ძირებში და თამრიკოს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ირგვლივ სულ იები, იები, იები...

კრეფს.

ვკრეფ-

— ლევან, შენც გიყვარს იები?

— მე? მე არა!

— მაშ რატომ კრეფ?

— სხვისთვის.

— მაინც ვისთვის?

— არის ერთი ლამაზი გოგო, ძალიან უყვარს იები. სულ ბუჩქებში დაძვრება, დაეძვბს, კრეფს...

— მე ვიცნობ?

— კი!

— ლამაზია?

— ძალიან ლამაზი!

— რა ჰქვია?

— მეფის სახელი.

— მეფის სახელი ჰქვია და ბუჩქებში კი დაძვრება?

მე ვიცინი. თამარმა შავი წარბები შეკრა. შემდეგ ვუახლოვდები და იების მოწრილ კონას ვამდევ. თამრიკო იცინის.

— ლევან, დღეს ხალ ვიმეცადინოთ?

— გუშინ ხალ ვიმეცადინეთ?

— ჩვენსა:

— მაშ, დღეს ჩვენსა უნდა ვიმეცადინოთ. — ვეუბნები.

— კარგი, მაღე ამოვალ! — მეუბნება და თავის სახლისკენ გარბის.



მე და თამარი ყოველთვის ერთად ვმეცადინებო. ერთ დღეს ჩვენსას, მეორე დღეს — იმათსას.

ახლა ჩვენს აივანზე ვსხედვართ და გაკვეთილებს ვამზადებთ.

დედამ თამარიც წითელი ვაშლები მოართვა. ჩვენ თითო ვაშლი უნდა შევჭამოთ და შემდეგ კვლავ სახელმძღვანელოებს დავუბრუნდებით.

ეზოში წამოწოლილი ბომბორა შლიგვიანვით წამოვარდა და ყვეფით მიასკდა ჭიშკარს.

— ჰაიტ, შე სულელი, ვეღარ მიცანი? — გაუწყრა მამა. ბომბორა კულამოძუებული გაიძურწა.

მამას ეზოში ვიდაც უცხო სტუმრები შემოპყვნენ.

— ეს არის ჩემი სახლ-კარი. ეს ჩემი ხელით გაშენებული ხეხილის ბაღია. ზაფხულში ამ ხეების ჩრდილში ქეიფობას არაფერი სჭობია. — უხსნის. ლაპარაკზე ეტყობა, მამა მოვრალია.

— იცნობდეთ, ეს არის ჩემი მეუღლე. დღეს რაღაც პატარა საქმე მოხდა და ვერ შევუხსრულე. ეს არაფერია.. ეს ჩემი ვაჟიშვილია, საშუალო სკოლას წელს ამთავრებს. ეს გოგონა ჩემი სარძლოა. — თამარზე უთითებს, — ჰა, ისე ხომ ლამაზი სარძლო მყავს?

— გოგოც კარგია და ბიჭიც! — სტუმრებმა არც მწვადი დაწვეს და არც შამფური.

ყურებამდე გაწითლდა თამარი და თავი ჩაღუნა.

მეც გავწითლდი.

სტუმრები შინ შევიდნენ და ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით. თამარიც

ხმა არ ამოუღია, ადგა და წავიდა... მე დავრჩი გულმოსული მამაზე, სტუმრებზე და ყველაზე, ვინც ღვინოს სვამს.

მოვრალეები საერთოდ ყველაფერს ლაპარაკობენ, რასაც გულში ფიქრობენ, ან, რაც ენაზე მოადგებათ.

მეორე დღეს ხტუნვა-ხტუნვით აღარ ჩამვიღია სოფლის გზაზე, აღარც ღობეზე შემდგარს დამიძახია

თამარიკოსათვის. ორი დღე ვატარე ჭიბით ღოუაწითელი ვაშლი და მერე სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ჭაღაში გადავისროლე გულმოსულმა. მეორე დღეს სწორედ იმ ადგილას თამარიკოს მოვკარი თვალი. წამოვეწიე და თავჩახრილი უხმოდ გავყვი.

— ლევან, გუშინ რატომ გადაისროლე ბურჭებში ვაშლი?

არ მოველოდი და განარბული შემოვტრიალდი.

— შენ საიდან იცი?

— აგერ იქ იებს ვკრეფდი და დავინახე.

— მამაჩემზე ვიყავი გულმოსული, — კვლავ დაბლა დავხარე თავი.

— მე თქვენსას აღარასოდეს მოვალ, — ვერა ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, თამარიკოც თავჩახრილი ლაპარაკობს.

— ვიცი.

— შენ?

— არც მე მოვალ თქვენსას.

— რატომ? მამაჩემი ხომ ავადმყოფია, ღვინოს არა სვამს...

... ჭაღის ბილიკზე მივდიოდით თავჩახრილები...

ალბათ, არც ისე ხშირია როდესაც მეცნიერის 70 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე დარბაზში დამსწრეთა უმრავლესობა იუბილარის მოწაფეებისაგან შესდგება. სწორედ ასე იყო პროფესორ მიხეილ ზანდუკელის დაბადების 70 წლისთავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი — აქ თავი მოეყარათ არა მარტო ლიტერატურის ისტორიკოსებს არამედ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის მრავალი დარგის სპეციალისტებს, ყველა ისინი მიხეილ ზანდუკელის მოწაფეები, მისი აღზრდილები იყვნენ, რადგან რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლას ხელმძღვანელობდა და მთელ თავის ფიზიკურსა და სულიერ ძალას ახმარდა ახალგაზრდობის აღზრდას. თვითონ შესანიშნავმა პედაგოგმა მან თავის გარშემო შემოიკრიბა გამოჩენილი პედაგოგების მთელი პლეადა — და შესძლო იმგვარად წარემართა სასკოლო აღზრდის პროცესი, რომ იგი საერთო განათლების სკოლასთან ერთად მაღალი ზნეობისა და ადამიანობის დანერგვის სკოლად გადააქცია.

ეს დიდი მომთხვენელობა მიხეილ ზანდუკელმა უმაღლეს სკოლაშიც გადაიტანა და შეიძლება ითქვას რომ თვით მეცნიერების იმ დარგშიც, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნაშიც გამოსჭვივდეს მისი ავტორის იდეალები და მისწრაფება ყოველივე ნათელისა და კეთილის, მაღალზნობრივისა და ამბულბულის გამოვლენაში, იგივე მისწრაფება ასახული მეცნიერების ესთეტიკურ მსოფლმხედველობაში.

მიხეილ ზანდუკელმა თავისი მრავალწლიანი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა ისეთი შრომები, როგორიცაა სამტომიანი „ახალი ქართული ლიტერატურის“ რამდენიმეჯერ გამოცემული კურსი, „ქართული ლიტერატურის მეთოდისა“, „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევი“ (რუსულად) „ვაჟა ფშაველა“, „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“. სადოქტორო დისერტაცია „ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“ და სხვა მრავალი.

სპეციალისტებს საერთო აღიარებით „ახალი ქართული ლიტერატურა“ წარმოადგენს ახალ ნაბიჯებს ქართული ლიტერატურის შესწავლაში — ადრე არსებულ ცნობილ გამოკვლევებთან შედარებით.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მიხეილ ზანდუკელის ძიებანი ქართული რომანტიზმის ბუნებისა და რაობის გარკვევის დარგში.

მიხეილ ზანდუკელმა ყოველმხრივ გამოიკვლია ეს პრობლემა ევროპული და რუსული მასალების ცრცელი შედარებითი ანალიზის გზით და მრავალი ახალი, საყურადღებო დასკვნა გამოიტანა.

საკითხის დიდი ცოდნით გააშუქა მიხეილ ზანდუკელმა ქართველი ხალხოსნების შემოქმედება და მოღვაწეობა, ქართული ლიტერატურის სხვა მრავალი პრობლემა, აგრეთვე, მეთოდისა და დიდაქტიკის საკითხი.

შესანიშნავმა პედაგოგმა აღზარდა პედაგოგთა, მკვლევართა დიდი ჯგუფი.

უკვე 50 წელია რაც გამოჩენილი მეცნიერი და შესანიშნავი პედაგოგი უანგაროდ ემსახურება ხალხსა და სამშობლოს და დღეს ისეთივე ხალისით, მონდომებითა და სიყვარულით მუშაობს, როგორც ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.



## რეკლამა ჩიჩუა

### ზოგადი აზრობის

ქვის ორსართულიანი ლამაზი შენობა გადაყურებს შავი ზღვის ნაპირს.

ეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ბათუმის თევზის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო სადგურია. იგი 1931 წელს დაარსდა. მაშინ სადგურის მიზანი შავი ზღვის სამრეწველო თევზის მარაგის გამოკვლევა იყო. მერე სადგურს საქართველოს შიდა წყლების, ტბებისა და მდინარეების პროდუქტულობის შესწავლაც დაეწყო.

შედეგად მუშეუში...

შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას იპყრობს ორმეტრიანი თევზის ფიტული, რომელსაც ერთი მეტრის სიგრძის ეგრეთ წოდებული „ხმალი“ აქვს. ამ თევზს შიმშერს ეძახიან. იგი შავ და ხმელთაშუა

ინაბება. ზევით ამოშვებული აქვს მხოლოდ თავი და უღვაწები. თევზებს ჰყავდა ჰგონიათ და წაეტანებინათ. ზღვის ეშმაკსაც ეს უნდა — დააღებს ხახას და წყლიანად შეიტაცებს პირში. წყალს გამოუშვებს, თევზს კი გემრიელად შეეჭმევს.

ზვიგენის ტყავს დიდი გამოყენება აქვს მრეწველობაში, ხორცისაგან კი სამკურნალო ზეთს ამზადებენ. ეს ზვიგენი თავისი ლიფსიტებით ბათუმის რაიონში დაიჭირეს 1958 წელს...

ახლა ამათ შესახებ ვისაუბროთ: ზღვის ქაფშია,

დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს სტავრიდასაც, იგი მტაცებელია, განსაკუთრებით ქაფშიას მტრად აღიბილი.

სტავრიდა ზღვის სანაპირო რაიონებში ცხოვრობს და ამიტომ ადვილად ხვდება ბაღში. ამან გამოიწვია მისი საგრძობლად შემცირება.

სტავრიდას აკონსერვებენ, ამარილებენ...

— სტავრიდას მსგავსად პელამიდაც მტაცებელია და იცით, კიდეც რისთვისაა ცუდი თევზი? — გულუბრყვილოდ გვეუბნება საზღვაო განყოფილების მეცნიერი მუშაკი ნარგოზა ნინუა. — თევზების უმეტესი ნაწილი ხომ ჯოგებად დადიან, პელამიდა შეიჭრება ჯოგში და ჰამს, მაგრამ რომ გაძლება, მერე იჭერს თევზებს, გადაკენებავს შუაზე და აგდებს. თანაც მეტად გაუმძაძარია. ზღვის ქაფშიას, სტავრიდასა და პელამიდას ძირითად სამრეწველო თევზებად თვლიან...

— ეს „ცუდი“ თევზები, „კარგი“ რომელია?

— „კარგი“ თევზებია — ხონთქარა და მწვანულა, — საუბარში ერევა უფროსი მეცნიერი მუშაკი ოთარ ბურჭულაძე. — ხონთქარას უგემრიელესი ხორცი აქვს და ვინც წაწვევა — თევზი თუ კაცი, — ყველა ჰამს. არსებობს ლეგენდა, რომ ხონთქარას ჰამის უფლება მარტო ხონთქარს ჰქონდა, სახელიც აქედან შეერქვა: თუ ხონთქარა უგემრიელესია, მწვანულა უღამაზესია. საინტერესოა, რომ, რა გარემოშიც მოხვდება მწვანულა, იმ გარემოების შესაბამისად იცვლის ფერს.

— ქამელეონი ყოფილა!

ოთარ ბურჭულაძე შიდა წყლების განყოფილების გამგეა.

შიდა წყლების განყოფილება, სამი წელიწადია რაც არსებობს, და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დღემდე გამოუყენებელი მალაღობიანი ტბების მალათაფას, ბარეთისა და ხაჩნალის საქსპედიციო შესწავლა.


7 თვე დაჰყო ექსპედიციაში მარია წულაძემ, რომელმაც 1959 წელს დაამთავრა ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და, სულ ახლახან მოვიდა აქ... ამ შესწავლის შედეგად სათევზაო მეურნეობის ფართობი 2100 ჰექტარით გაიზარდა.

ლაბორანტი ეთერი ნიქარაძე და მუშები ვალრა კალენინიჩენკო და სვეტა ბორისოვაც ოცნებობენ სწავლის გაგრძელებაზე. შესვენების დროს გოგობა ყვავილნარში გამოდიან; ზოგი თოხსა და ბარს წამოაგვებს ხელს და ლამაზ-ლამაზ ვარდ-ყვავილებს უვლის, ზოგი გრილში ისვენებს, ზოგიც წიგნს კითხულობს.

მეცნიერი მუშაკთა ნაწილი ამ დროს შენობის უკან, ეზოს ბოლოში მოთავსებული ვეებერთელა სათევზე აუზის კიდეზეა გადაყრდნობილი და გაფაციცებით დასკვნებიან ათასგვარი ლიფსიტებისა და თევზების მოძრაობას, წყალში თამაშსა და ნავარდს. მერე უბის წიგნაკს გაშლიან და თეთრ ფურცლებზე დასრიალებს ავტოკალმის სველი წვერი.

სამეცნიერო-საკვლევო სადგურის დირექტორი ლეონიდე წულაძე თუ გნებავთ, ან კაბინეტში ნახავთ, სამეცნიერო-საკვლევო სადგურის ახალ პროექტს ჩაიკრიტიკებთ, ანდა მშენებლობაზე იქნება, ათვალიერებს ექსპერიმენტული ლაბორატორიისა და საზღვაო აქვარიუმის მშენებლობას...

ასეთი საზღვაო-აქვარიუმი და ექსპერიმენტული ლაბორატორია პირველად შენდება საბჭოთა კავშირში. საზღვაო აქვარიუმში მოთავსდება შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის ყველა წარმომადგენელი. იგი შავი ზღვის ფაუნის ნამდვილ „ცოცხალ“ მუზეუმად გადაიქცევა.



ზღვაში, აგრეთვე, წყნარ, ატლანტიკის თუ ინდოეთის ოკეანეებში ცხოვრობს.

შიმშერი საათში 130 კილომეტრ სიჩქარეს ავიტარებს.

ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის, როცა შიმშერი თავს დასხმია არა მარტო თევზებს, არამედ ვეშაპებს, ნავეებს და გემებსაც კი. ინგლისის ერთ-ერთ მუზეუმში ახლაც ინახება გემის წყალქვეშა ნაწილის ამონაჭერი, რომელშიაც გაჭედილია შიმშერის ხმალი. მას გაეხვრიტა 30 სანტიმეტრზე მეტი სისქის მუხის ფიციარი და 2 სანტიმეტრის სისქის სპილენძის ფირფიტა.

ყოფილა შემთხვევა, რომ ნავის ორივე მხარე გაუტანია.

მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ამ თევზზე ნადირობენ, რადგან მეტად გემრიელი ხორცი აქვს და ზოგიერთი მათგანი 500-600 კილოგრამსაც იწონის.

ეს შიმშერი, რომელიც კოლმეურნეობა „წითელი თევზის“ წევრებმა დაიჭირეს 1957 წელს ბათუმის რაიონში, 50 კილოგრამზე მეტს იწონიდა.

იქვე ფანჯარასთან, აქვარიუმი დგას, წინა კედლიდან მოჩანს „ზღვის ეშმაკის“ ვეებერთელა თავი და პირი. რომელიც მთელი სხეულის სამ მეოთხედ ნაწილს შეადგენს. მართლაც ეშმაკია! იგი არ დასდევს საციბლოს; ჩაფლობა ქვიშაში და გა-

სტავრიდა და პელამიდა დიდი ხანია, რაც ბათუმის თევზის სამეცნიერო-საკვლევო სადგურის მეცნიერი მუშაკთა კვლევის საგანს შეადგენენ.

საზღვაო განყოფილების მეცნიერი მუშაკები მეოთხე წელია მუშაობენ სტავრიდას ასაკის დადგენაზე, ისინი არკვევენ, აგრეთვე, ამ თევზის ზრდის თვისებებს და პელამიდის ზოგიერთ სხვა ბიოლოგიურ თვისებებსაც.

სტავრიდასა და პელამიდისაგან სხვადასხვა საკვები პროდუქტის დამზადებაზე ბევრს მუშაობს ტექნოლოგიური განყოფილება, რომელსაც გამოცდილი მეცნიერი მუშაკი რაისა ბორისოვა ხელმძღვანელობს. წარმოებას გადაეცა ამ თევზებისაგან 4 სახის პროდუქტის მიღების მეთოდი.

ზღვის ქაფშია ზამთრობით თბილი წყლებისაყენ მიეშურება, ზაფხულობით იწყებს მიგრაციას, მოძრაობას ჩრდილოეთის მხარეს.

ზღვის ქაფშია ჯოგად დადის და ამიტომ მისი დაჭერა ადვილია, მკვლევარებს ევალებათ შეისწავლონ ამ თევზის ე. წ. ჯოგის მოძრაობის გზები.

უწინ თევზთა ჯოგების მოძრაობის გზებს და სამყოფელ ადგილს სპეციალური მძებნელი რაზმები არკვევენ და ცნობებს. გადასცემდნენ რამდენიმე კილომეტრით უკან მყოფ მეთევზეებს. ახლა ყველა გემზე დგას ექსპლორტი, რომელიც არა მარტო არკვევს, აღრიცხავს კიდეც თევზის რაოდენობას.



3 არგა ხანია არ ვყოფილვარ თბილისში. სად არ მატარა საქმემ და სამხახურმა. დღეს კვლავ ჩემს საყვარელ ქალაქში ვარ.

ხვალ ისევ დავტოვებ თბილისს. მაგრამ ახლოს მაინც ვიქნები! არც ისე ცოტაა ერთი დღე. უოველ შემთხვევაში, ციცინოს ნახვას მოვასწრებ.

მივყვები მტკვრის სანაპიროს, საუკუნე არ მენახოს თითქოს — შეფოთილი ვერხვებს ტანი აუყრიათ, მოდულუნე მტკვარს მთებიდან წამოყოლილი ნიავი უბერავს და თან მოაქვს ქალაქის უბნების ხმაური, მოჩანს მხრებგაშლილი და ხარაჩოებში ჩაუყვინთული მრავალსართულიანი შენობები...

დამტკბარი გული ღლინებს, ზაფხულის ბარაქიან სურნელს ხარბად ეტანება.

არ მინდა ვიფიქრო. გულს ჩრდილი მივკარო, მაგრამ ყველა გულს თავისი საიდუმლო აქვს.

ციცინო მომელანდა...

ფოთლების შრიალში ტბილი სუნთქვა და ნარნარი ხმა შემომესმა. ფიქრებმა გამაშინა ამიყვანეს.

რატომ არ მწერდა ციცინო ბარათებს?

ნუთუ... გათხოვდა?

არა, არ მინდა ამაზე ფიქრი, ეს შეუძლებელია.

ახალფეხადგამულივით ვდგამ ნაბიჯს. მინდა ვიარო, ვიარო სადამომდე... მაგრამ გაუთავებელი არაფერია.

მკლავში ვიღაცამ ჩამავლო ხელი. მობრუნება ვერც კი მოვასწარი.

— ნოდარს გაუმარჯოს! სად დაიკარგე, ბიჭო?

ჩემს წინ სკოლის ამხანაგია, გადავეხვიეთ.

გაზრდილა, სიმაღლეში წასულა.

— როგორ ხარ, გივი, მუშაობს სადმე? — ვკითხე.

— რუსთაველაში

— კარგია!

— შენ? — მრავალმნიშვნელოვნად თქვა და უწყინარი თვალები მომაპყრო. თბილმა ღმილმა აუფეხლა დაწვები.

— ჩინეთიდან დავბრუნდი, ახლა ხრამბესზე ვიწვებ მუშაობას.

გაუკვირდა. აღბათ, არ მოელოდა.


— დაოჯახდი? — უცბად შევეკითხე.

— მმ... შორიდან რად კითხულობ, წავიდეთ ჩვენთან, თვითონ ნახავ!

— არა, მამაკით, დღეს ბევრი საქმე მაქვს.

— მიწყენება იცოდე, რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, ჩემს ცოლსაც ვაიცნობ!

— სხვა დროს! — მივუგე და მოვუბოდიშე.



### გაგონილი

მხატვარი ზუსტად ლეშაძე



— რა გაეწყობა, ასე იყოს... თითო ლული მაინც დავდიოთ!

ვიცოდი გივის აზრად; არ მომეშვებოდა.

— მხოლოდ, ერთი პირობით, — საათს დავხედე და გულწრფელად ვთხოვე — ნახევარი საათით, შეხვედრისა დავდიოთ და ამით მოვათხოვ. დამთანხმდა.

სასადილოში თავისუფალი ადგილი მოკვებნეთ. ლატანივით გრძელი მკლავი გადამხვია მხრიდან წელამდე და მოგონებებს მივცა.

— ემ, ჩემო ნოდარ, მდინარესავით ჩაიარე დღეებმა. გახსოვს, ინჟინრობაზე ოცნებობდი, აგისრულდა: ქვეყნები მოიარე, ნახე ცხოვრება, ახლა შენ თვითონ აწინებ ელექტროსადგურებს...

გივი წამით ჩაფიქრდა.

— ლამის დამაიწყდა, ცოლი ითხოვე?

თითქოს არც გამიგონა, დუმილით ავუარე გვერდი ამ კითხვას.

— ცოლი?! — კისერზე ხელი მოვიხვიე და უკან გავიხედე.

მამა ფინეთის ომში დამედუბა, დედა აღერე გარდამეცვალა; ნაჭრილობევი დავბრუნდი ფრონტიდან და სწავლა განვაგრძე. პირველ ხანებში სტიპენდიით ვავდიოდი იოლად, ბოლოს გამიჭირდა, ქარხანაში დავიწყე მუშაობა, დეპრესიის შემდეგ დაზგას-

თან ვიდექი... ცოლზე არ მიფიქრია, ან რა მერქარებოდა...

— ხმა ამოიღე, კაცო, რა მოგივიდა? — მისაყვედურა მეგობარმა და ჭიკა მომაწოდა.

ვლუმი...

ღვიწხე ბევრი რამ მომაგონა, მაგრამ მხიარულება არ მომეკარა.

გივიმ იცოდა ჩემი წარსული, ახლაც ხედებოდა, რაზე ვფიქრობდი, თანაგრძობის ნიშნად თვალი თვალში გამიყარა, მხარზე ხელი დამადო, ჭიკა ჭიკას მომიტყუა, მეორეჯერ შესვა ჩემი სადღეგრძელო. დაუმსახურებელ სადღეგრძელოზე მადლობა მოვახსენე, სასმისი ბოლომდე გამოვცადე და დაუფრებლად მივუგე:

— ცხოვრებას თუ ჩამოვრჩით, კაპიკია ჩვენი ფასი. ინჟინერი მოვალეა ახალი შემატოს თავის საქმეს, წინ წასწიოს, გაამდიდროს. სხვანაირად ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინებოდა, ხანტერესო აღარაფერი იქნებოდა! — ვთქვი და შემრცხვა, თითქოს თავს ვიკებდი.

რა არ გავიხსენებ...

საკმაო დრო გასულიყო.

ბოლოში მოვიხადე, სიტყვა მივეცო, რომ მასთან სახლში მივიდოდი, და ავდექი.

— ახლა საით მიდიხარ? — მკითხა გივიმ.

— ციცინოს ვნახავ... — ვთქვი და გავწილდი.

— ციცინოს?! გივის თითქოს უნაწეროდა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს მკითხა, — როდის ნახე უკანასკნელად ციცინო?

— ორი წლის წინააღმდეგ ვიხსენებ კითხები?

— ისე... აბა, ნახვამდის, — ცივად გამომეშვიდოდა და წავიდა.

გივი რაღაცას მიმალავდა. ეს აშკარა იყო. ნუთუ, მართლა გათხოვდა ციცინო? ბოლოს გადავწყვიტე, რომ მომეჩვენა და ციცინოს სახლისაკენ გავეშურე. თითქოს სწორედ ახლა გაიგეს მეგობრებმა და ნათესავებმა ჩემი ჩამოსვლა, გზაზე შემხვდნენ და „მომიტაცეს“.

ისე გავიდა ეს დღე, როგორც ერთი წამი!

გული დამწყდა: ციცინო ვერ ვნახე. ხვალ მივემგზავრები გომარეთში, მეორე ხრამბესის მშენებლობაზე. დავტოვებ ჩემს თბილისს...

რა უყუთ, ყველა ხომ თბილისში არ ვიმუშავებთ? სადაც საჭირო ვარ, იქაა ჩემი ადგილი.

უნდა გამოვტყდე, ძალიან მწყინს, რომ ციცინო ვერ ვნახე. ემ, ვინ იცის, იქნებ საბოლოოდ ჩამიქნია ხელი?

რატომ დუმს, წერილებზე მაინც ებასუნა?

ნუთუ... არა, ეს წარმოუდგენელია. დებეზს მიიღებდა, მელოდებდა, უთუოდ მელოდებდა... ჩემი ბრალია, როგორ ვერ მოვიცადე?

გავსურებ გაჩირადენებულ თბილისს, შუაღამეა და ციცინოს აღბათ ხსინავს...

ბედს ვურთავებ, ახლაც ხომ შორს არა ვარ? ჩამოვალ და ვნახავ.

ძლივს მოვხუჭე თვალები.

ციცინო მესიზმრა...

მთის მარმა ძალა შემემატა. დიდიდან სადამომდე სამშენებლო უბანზე ვარ. შევეჩვიე: ესეც ჩემი მიწაა, მამაპაპის ნასისხლბორცალი...

ნაღმების გაუგუნმა გარადვია საუკუნეებით ჩათვლილი ხეობები. ნაბილიკარებზე გადაიჭიმა გზები, ხიდეები. ირმები გადაიკარგნენ მთებს იქით, გარეული ნადირი აღარ ეკარება ხრამს.

პირქული ქციისათვის შენდებდა გვირაბი, ფაფარაყრილი დუღაბის საღებებში გაივლის და მხეცივით დეპგერება ტურბინებს... გოლიათებივით აიშარტებიან მაღალი ძაბვის ანძები — თბილისსა და რუსთავს მიაწვდიან დენს...

გივის ქარხანას მიეშველება. ციცინო ჩემს წერილებს წაიკითხავს მის შუქზე...

ჩემი ძალაც შეერთვის და აამუშავებს ფაბრიკა-ქარხნებს.

დედაქალაქიდან განუწყვეტლივ მოედინება მანქანები, მოაქვთ დანად-

გარბი, აპარატები, მძიმე ტიპის სამულო ძრავები.

შენდება ხრამპისი...

დღე დღეს მისდევს, დამე ღამეს...

„მომენატრე, ვერ გნახე... დამნაშავე ვარ შენს წინაშე. მაპატიე, ნახვამდის...“

ერთი კვირაა ვწერ ამ წერილს; ციციანო, ვხევი რაღაც აქლია, რა? ვერ მიმიგნია.

იქნება ჯობია, სულ არ მივწერო?

ამ შაბათს წავალ, ყველაფერს ვეტყვი. ქვის გული გაქვს-მეთქი, შევბედავ.

მანქანა მისრიალებს ახალ გზატკეცილზე, ირგვლივ ჩამოტყვრებული გორაკებია, გზა სწორია და პირდაპირი. ცა ღიაა, მოწმენდილი... რა ნელა მივდივართ.

...ციციანოს ქუჩაზე შევდგი ფეხი. გული მიკანკალებს, რაღაცას მეუბნება, ყურს არ ვუგდებ. ფეხები უკან მეწვიან...

„ციციანო გათხოვდებოდა...“

ჭიშკართან სული მოვითქვი, გაუბედავად შევადე კარი.

ციციანო აივანზე წის და შორს, სივრცეში იუყრება. ეზოში შევდები, აბა, როდის გამოიხედავს და დამინახავს-მეთქი. გული ამიძგერდა მოლოდინში, მაგრამ ციციანო გაქვავებული წის. „ციციანო“, ვთქვი ჩემად, „ციციანო“, გავიმეორე უფრო ხმამაღლა, შეკრთა, დაფეთებულივით ზეწა-

მოიჭრა, დიდხანს მიყურებდა... მერე ეზოს თვალი მოავლო რამდენჯერმე... ისევე დაჯდა და შორს, სივრცეში განაგრძო ცქერა. „ნუთუ, ვერ მიცნო? ნუთუ, ასე გამოვიცვალე?“

კიბებზე ავრბივარ სულმოუთქმელად, დაუკითხავად ვადებ კარს, აივანზე ვჩერდები... ციციანო მიყურებს უაზრო, გაყინული თვალებით, მთელი სხეულით თრთის ციციანო...

...ციციანო თურმე დაბრმავებულია.

— არ იცოდი? — მკითხა მან.

— არა, ციციანო, არაფერი ვიცოდი...

— თუ გინდა, წადი!

— რას ამბობ, ციციანო, რატომ მეუბნები მაგას.

— წადი!

შმაგვიტ მივვარდი, გულში ჩავიხუტე; ბრმა თვალთა ცრემლებს ტუჩებით შევეხე.

ვტიროდი მეც, ჩემს უბედურებას დავტიროდი.

ჩემსას...


ჩემს უბედურებას კი ვერსად გავიქცევი, არც გავიქცევი.

...ხელსაწყო აფეთქებულია ქიმიურ ლაბორატორიაში...

აი, რატომ არ მწერდა ციციანო ბარათებს.

ციციანო ვეღარასდროს იხილავს იმ სინათლეს, რომელიც ჩემმა მარჯვენამ შექმნა მთებში.

მაგრამ ციციანო დინახავს სხვა სინათლეს, უფრო დიდ სინათლეს, ეს ჩემი უსაზღვრო სიყვარული იქნება.



მწვანე აპარა...

შავი ზღვისპირი...

კამერივით წვეს ზღვაში ზაფხული, ბრუნავს შუადღის ცხელი წისქვილი, თმებში მეყრება ქვიშა დაფქული.

ის ფეხშიშველა ეძებს ნიჟარებს და ზედ ჩემს გულზე სტოვებს ნაკვალევს... მე ღრუბელივით წამოვიშალე, მისი თვალბის მზე რომ მაწვალებს.

ეს რა ძლიერად ამბობიალა ამ ფეხადგულმა ღვთიურ სინაზემ, ალი ყოფილა, ქალი კი არა, გულს ედებდა და დადის სილაზე.

ის ფეხშიშველა ეძებს ნიჟარებს, თვით უპოვნელი როგორ დავტოვო? მე ღრუბელივით წამოიჭიშალე, რომ მთვარესავით დავიმარტოვო.

უცებ დამეცა მკერდზე მძლე ქარი, მზის მხურვალეებით ღრუბელიც გალღვა, როგორც ხვალის დღე დაუდგარი, ნაპირზე ისე მოვარდა ტალღა.

მოვარდა ტალღა და წაიშალა სილაზე მისი ნაფხურები... ზღვის დასავალი მოგავს ნიჟარას, ზღვაო, მარადის ხმად მეყურები.

ეგ ხმა მომესმის, მაგ ხმას მიყვები, გულზე დანეულ ნაფხურებით, მივალ... ჩემს მერეც მარად იქნება სიცოცხლე, ზღვა და ფეთქვა გულების.

ბერილია ბერიანაშვილი


თუ იყოს იყოს...

«თუ იყოს, იყოს, თუ არა და—წყალმა რიყოს.» ხალხური

იყოს ძალიან ტხელი დღეები და შემდეგ დიდი წვიმები იყოს. ლამაზნი, ვითარც ჯელგა ირმების, ძლიერმა დელგმამ ჩემსკენ მორიყოს.

იყოს ცახცახი, თრთოლვა ტუჩების, ტანჯვირანთა ჯირითი იყოს. იყოს მათ შორის ერთი უჩვევი, გული წამართვას, ორად გამიყოს.


გულუხვი, როგორც ველი სამკალი. ზღვის ღელვასავით ძლიერი იყოს. იყოს შფოთვა და გულის კანკალი, ჰე, სიყვარული თუ იყოს, იყოს!..




20




ეროვნული  
ბიბლიოთეკა





Handwritten text in a non-Latin script, possibly Georgian, enclosed in a rectangular box. The text is arranged in two lines.





ქართული  
ბიბლიოთეკა





# გზა მიზნით ავსომაყვებს!

დღეს ავტომატიკის შესახებ ისე სწვრენ, როგორც ყოველდღიურ ამბავზე; ჩვენი საუკუნის ამ საკვირველებას ვხვდებით წარმოებაშიც და ყოფაცხოვრებაშიც.

ავტომატები! დაუფასებელ როლს ასრულებენ ისინი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში: ავტომატები აადვილებენ მეშახტის მძიმე შრომას; მათ თვითმფრინავები გზის გაღებვებზე მისაღებ ადგილებზე გეზით, მათ ზუსტად გაჰყავთ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები ორბიტაზე. დედამიწიდან გაგზავნილი რაკეტის ხელსაწყო-ავტომატები აღებენ თვალთ დაუნახავ მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათს, ხოლო ელექტრომაგნიტურ ტალღებს, ძლევენ რა პლანეტათაშორისო სივრცეებს, მოაქვთ დედამიწაზე ფოტოგრაფიები, და ძვირფასი მეცნიერული ინფორმაცია.

წლითწლილობით ავტომატები სულ უფრო და უფრო გაბედულად იჭრებიან ჩვენი ქარხნების სააპკრობებში, ხდებიან ფოლადმდნობელის, ხარატის, კონსტრუქტორის, დისპეტჩერის საიმედო თანაშემწენი. წარმოების ავტომატიზაციის პრობლემებზე

მუშაობენ არა მარტო ცალკეული ლაბორატორიები და საკონსტრუქტორო ბიუროები, არამედ სპეციალური ინსტიტუტებიც. ამ საქმიანობას ეწევა ორი წლის წინათ ჩამოყალიბებული კიევის ავტომატიკის ინსტიტუტიც.

როგორც კი შეხვალთ ინსტიტუტის კარებში, მაშინვე მოხვდებით მეცნიერებისა და ტექნიკის წარმტაც სამყაროში. იქ შეიძლება გაიგონოთ ექსპერიმენტულ გამმართველი განყოფილების ჩარხთა გუგუნიც, ელექტრულ რელეოთა ჩუმი ტკაცინიც, მძლავრ გენერატორთა სიმღერაც, მაშ, შევალთ კარი და შევიდეთ ერთ-ერთ მის ლაბორატორიაში.

### დისპეტჩერის „თვალი“

ათასკილომეტრიან ლენტად გაწვდილან მაგისტრალური მილსადენები, რომლებშიც მდინარებს უჩინარი საწვავი — ბუნებრივი გაზი. მძლავრი ნაკადი, დიდი სივრცის დაძლევისას, თანდათან ჰკარგავს წნევას. განსაზღვრულ დონეზე მის შესანარჩუნებლად მილსადენების გასწვრივ მუდმივად მოქმედებენ კომპრესორული სადგურები.

როგორი მდგომარეობაა ტრასაზე? როგორ მდი-

ნარებს საწვავი ლითონის არტერიებში? ასეთი საკითხები ყოველწუთობით აინტერესებს დისპეტჩერს. მას ეხმარებიან ხელსაწყო-ავტომატები, რომლებიც კონსტრუირებულია ინსტიტუტის ლაბორატორიაში. მას ხელმძღვანელობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვ. ლ. ინოსოვი. უკვე დამზადებულია ტელემექანიკური სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს დისპეტჩერს ყოველ დროს „გამოჰკითხოს“ ტრასის გასწვრივ მდებარე გაზსადენის ყველა საკონტროლო პუნქტს. ელექტრო იმპულსების სერიაში კოდირებული საკითხები წაშლი 300000 კილომეტრი სისწრაფით მიჰქრებიან გაზსადენის გასწვრივ, და წამის რაღაც სულ უმნიშვნელო ნაწილში უკანვე ბრუნდებიან ელვისებური პასუხები გაზის დახარჯვისა და წნევის შესახებ.

დღისით და ღამით, სიცხესა და სიცივეში, წვიმასა და ქარიშხალში, შენობიდან გამოუსვლელად, დისპეტჩერი არათუ „ხედავს“ ყველაფერს მილსადენზე, არამედ მართავს კიდევ მის მუშაობას ტელეგაზომვის ორიგინალური სისტემის დახმარებით,



როგორც პირველად ჩვენს ინსტიტუტში დამუშავდა.

ტელესისტემის ლაბორატორულმა ნიმუშმა დაიჭირა საიმედოობისა და სიზუსტის გამოცდა დონბასის მაგისტრალურ გაზსადენზე. და მხოლოდ ამის შემდეგ გაანგარიშებები და ნახაზები გადაეცა რელესა და ავტომატიკის ქარხანას ასეთი დანადგარის სერიულად გამოსაშვებად.

### ფოლადდნობელი, როგორც ვერცხვები

მიმდინარეობს ფოლადის გამოდნობა. გუგუნებს, დულს და მჭექფარებს ლითონი მარტენში. რამდენიმე საათის შემდეგ ღუმელი გადმოაფრქვევს თვალისმომჭრელად ელვარე ლითონს, რომელიც შემდეგ ჩვენი თვალუწვდენი საშობლოს სხვადასხვა კუთხეში აგუგუნდება მძლავრ ტრაქტორებად, ნახშირის ამომღებ კომბაინებად, ჩარხებად, აიჭრება სივრცეში პლანეტათაშორის რაკეტებად.

ხოლო სად არიან ისინი, შავგერემანი, ბრუნეტისამოსიანი ადამიანები, რომლებიც ზედ მიადგებიან ათასგრადუსიან ღუმელს, შეიხედავენ მის შიგნით, რათა შეაფასონ დნობის მსგელოება?

ისინი არ სჩანან აქ. გამოდნობა კი მიმდინარეობს. ვინ ადევნებს მას თვალყურს? ვინ წარმართავს მას? ნუთუ ეს თეთრხალათიანი, მართვის პუნქტთან მიმჯდარი ადამიანი? სწორედ ასეცაა — ესაა ფოლადმდნობელი. მას არ უხდება მარტენის ახლოს საშინელ სიციხეში დგომა და, ოფლში გაღვრილი არ ადევნებს თვალყურს დნობის რეჟიმს. ამ საშუაოს ასრულებენ ხელსაწყოები, რომლებიც გაერთიანებული არიან პროცესთა ავტომატური რეგულირების სისტემაში. ისინი იწყებენ ღუმელის გამართვას და ამთავრებენ ფოლადის გადმოსხმას. ხოლო ფოლადმდნობელი თვალყურს ადევნებს გრაფიკის შესრულების სიზუსტეს. დნობა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, წუდი წუთზე. დამორჩილებული მარტენი, უზარმაზარი ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულივით ემორჩილება და ასრულებს ფოლადმდნობელის ნაკარნახევ ბრძანებებს. ავტომატურად რეგულირდება ჰაერის, უანგბადის, საწვავისა და საცმის ტემპერატურის ჩართვა. ფოლადი დნება ისე, რომ ადამიანს აღარ ენებს მაღალი ტემპერატურისა და ვაზების მოქმედება.

მართალია, ჯერ არც ერთ მარტენის საამქროში არ აღნობენ ფოლადს ასე, როგორც ზემოთა თქმული, მაგრამ ეს არც ისე შორეული მომავლის საქმეა. მეტალურგიის ეს მშვენიერი ხვალისდელი დღე გვეხატება ჩვენს ინსტიტუტში დამუშავებული გეგმების, გაანგარიშებებისა და ნახაზების მიხედვით.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად მუშაობს რამდენიმე

ნიმე ლაბორატორია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მ. ი. კობოტკოს ხელმძღვანელობით.

### უბალოდ, საიმედოდ, ზუსტად

როცა ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ნივთიერების რადიოაქტიური დაშლის მოვლენა, ხოლო გეოფიზიკოსებმა მიწის წიაღში მიაგნეს ბუნებრივ იზოტოპებს, რომლებიც გამოასხივებენ ელემენტარულ ნაწილაკებს, მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოეყენებიათ ეს აღმოჩენა.

იმ ხელსაწყოთა შექმნისათვის, რომლებიც იყენებენ მოვლენას, მუშაობენ ჩვენს ინსტიტუტშიც...

წარმოვიდგინოთ რაიმე სითხით სავსე ვეებრთელო ავზი ან ცისტერნა. ასობით დგანან ისინი ქიმიურ კომბინატებში, ნავთსაქარ ქარხნებში. როგორ გამოეარკვიოთ შიგ ჩასხმული სითხის ღონე? რით გავზომოთ? ამაში დაგვეხმარებიათ რადიოაქტიური იზოტოპები...

ავზის ორივე მხარეს დგანან ელემენტარული ნაწილაკების გამომსხივებელი გადამცემი და ნაკადის ინტენსივობის მარეგისტრირებელი მიმღები. სითხის სიმკვრივის მიხედვით, სხივი მეტნაკლებად სუსტდება. გადამცემი გადაადგდობდა ქვემოდან ზემოთ მანადის, სანამ ნაკადს არ ჩანთქავს სითხის სვეტი, თუ ზემოთ სითხე აღარ არის, კონის ინტენსივობა უმაღლესით იწევს. სიგნალიც... და გადამცემი ჩერდება. ამ პრინციპზე შემუშავებული სიმალისმზომი, მილიმეტრის უმნიშვნელო ნაწილის სიზუსტით გვიჩვენებს სითხის ღონეს. უბრალოდ, საიმედოდ, ზუსტად!

უკრაინის კალის საწარმოებში ცდიან ლაბორატორიაში კონსტრუირებულ მეორე ხელსაწყოს — კონცენტრატომომს. იყენებს რა კალის ბუნებრივ რადიოაქტიურობას, ხელსაწყო ზუსტად განსაზღვრავს ამ ელემენტის კონცენტრაციას მარილების ხსნარებში.

კონსტრუქციით უბრალო, საექსპლუატაციოდ ზუსტ და საიმედო, იაფ ხელსაწყოებს, რომლებსაც ახლა ამუშავებენ № 93 ლაბორატორიაში, მალე გამოიყენებენ ქიმიურ მრეწველობის საწარმოებში.

### ავტომატური ტექნოლოგი

ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ ელექტროსანგარიშო მანქანებს, რომ ახლა წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია, ათი წლის წინათ თუ როგორ ვახერხებდით რთულ დიფერენციულ განტოლებათა ასე „სახელდახელოდ“ ამოხსნას. მაგრამ ეს ერთადერთი როდია, რაც შეუძლია ამ მანქანას. იგი ნიჭიერი მათემატიკოსისა, ოსტატი მოჭადრაკეც და მთარგმნელიც.

ხშირად ხდება ასე: იმის შემდეგ, როცა კონსტრუქტორის ჩანაფიქრი გადადის ვატმანზე, ნახაზები აღმოჩნდება ტექნოლოგთან, და იწყება ტექნო-

ლოგიური პროცესის გაანგარიშება. ტექნოლოგს კონსტრუქტორზე ნაკლები საშუაო როდენობა აქვს: რაღაც უნდა შეიცვალოს, ხანდახან დაემატოს კიდევ. ხომ არ შეუძლია ელექტრომანქანას სახსები შეცვალოს ტექნოლოგი? დღეს ეს პრობლემაც წარმატებით წყდება.

მომავალი ავტომატური ტექნოლოგი ჯერჯერობით არსებობს სქემებში, ნახაზებში, ნაწილობრივ მაკეტებში, როგორც კი მომავალ მანქანას ნებას მივცემთ „წაიკითხოს“ ნახაზი, იგი იკისრებს ყველა გაანგარიშებას და შეადგენს დეტალის ან მთელი კვანძის დამუშავების პროგრამას. მის ელექტრულ ან მაგნიტურ „მეხსიერებაში“ დაცული იქნება ასეთი დამუშავების რამდენიმე ვარიანტი, და იმის შემდეგ, როგორც კი მანქანის წინაშე დაისმება ამოცანა, იგი უმაღლესი მეორეხე „გასინჯავს“ თვითულ ვარიანტს, „შეაფასებს“ და „დაიწუნებს“. ისეთებს, რომელთაც „მიიჩნევს“ უვარგისად. ასე, „ამოირჩევს“ მანქანა საუკეთესოს და შემდეგ „მოუთხოვს“ ტექნოლოგს მის შესახებ.

### საკვირველი დაზვა

დაზვას დაყრდნობია მუშა. აი რამდენიმე საათია, რაც იგი რანდავს რთულ დეტალს. სარკისებრი ზედაპირის ცილისაგან ილღება თვლები, დაძაბვისაგან ექანება ხელები, რომლებიც ატრიალებენ სახელურებს, მას აღარ ემორჩილება თითები. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და წუნი მზადა! დაიკარგა ექვსი ძვირფასი საათი, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

თვით კვალიფიციური ხარატიც კი არაა დაზღვეული შეცდომებისაგან.


სულ სხვა საქმეა ავტომატი. გარკვეული ოპერაციისათვის მომართული, ის შესარულებს მას ათასჯერ, და არ დაუშვებს უმცირეს გადახვევასაც კი.

გორკის სახელობის კიევის ავტომატ-დაზვათა ქარხანასთან ერთად ჩვენმა ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა უნიკალური ჩარხის შესაქმნელად. ინიცირებდა და მწარმოებელთა კოლექტივმა შეძლო შეექმნა პროგრამული მართვის სახარატო-რეგულაციური დაზვა-ავტომატი. მაგნიტურ ლენტაზე ჩაწერილი დეტალის დამუშავების პროგრამა გაივლის მაგნიტური თავურების წინ, „კითხულობს“ მას და „უბრძანებს“ ავტომატებს, რომლებიც არეგულირებენ საჭრისის ჩართვას და ცვლას, შპინდელის ბრუნვას და ა. შ.

ეს სრულყოფილი და მუშაობაში შემოწმებული დაზვა მალე სერიულად გამოვა და თავის ადვილს დაიჭერს ჩვენი ქარხნების საამქროებში.

კატრე კონოვლილო,

უხსრ სახელმწიფო სავეგმო კომიტეტის ავტომატიკის ინსტიტუტის ინჟინერი.





განთავსა. ყრულ გუგუნებენ ძრავები: ეს სეინერები სტოვებენ ნავსადგურს. მეთევზეებს ეჩქარებათ, რადგან ერთი-ორი საათის შემდეგ დაუბრავს მძაფრი ზენა-ქარი, აიჭორება ზღვა, და მშინ, ძნელი საპოვნელია ბადე.

...მოტონავ „ამურის“ კაპიტანი თედორე კულაგინი ღვას საჭესთან და იყურება წყალში. და აი უკვე ისმის ვილაცის შეძახილი:

— მარჯვენა ბორტთან ჩანს ტიგტივა!

გემბანზე იგამოხტნენ მეთევზეები, ჩაუშვეს ნაგები და იწყეს ბადის ამოღება. თითო მეტრობით ამოდის ზევით კაპრონის ბადე. მის სიღრმეშია მჭიმანში ციალებს და ბზინავს მოვერცხლისფრო — მწვანე სულა. ასე უწოდებენ აქ უზარმაზარ გოჭის ოდენა ფარგას, რომელიც თითქმის ერთ ფუტს იწონის. ამ მტაცებლებთან ერთად სწორად გამოერევა წყნარი წითელთვალა ტარანი, ფართო ქამბალა, ხმლის პირივით ვიწრო ჩებონი.

ამურთან შიციურავს რეფრეკტორი.

— აბა, რა ამბავია თქვენთან? — მეგაფონით იკითხებიან გემს.

— შვიდი ექვსასი, — მიუგებს კულაგინი.

— მაშინ მოგვაწოდეთ ბაგირი!

სეინერიდან თევზი გადააქვთ სამ რეფრეკტორში. თუმცა იქ საშინელი სიცივეა, მაგრამ მუშაობა გაჩაღებულია. ტრუმში მომუშავე მატროსები სწრაფად აყრან თევზს ყინულს, აწყობენ მას სპეციალურ სკივრებში.

რეფრეკტორი მალე მიაღება ედანოვის მეთევზეთა ნავსადგურის მისადგომებს. ამწეები ტრუმში უშვებენ ლითონის ჩამჩებს, თევზი მოგზაურობის შემდეგ ექცევა შხაპქვეშ და მას რეცხავენ, ტრანსპორტიორს ის გადააქვს სასწორზე.

აქედან ჰიდროლოგით ფარგა და მისი თანამგზავრები მიემართებიან მაცივარ საამქროში.

ასობით ტონა ახლად გაყინული თევზი ინახება მაცივრებში, სადაც მუდმივი „ზამთარია“. ცალკეულ სტელაებზე ჩამჭკრივებულია 30-40 კილონი თართი. შემდეგ მიაყვებიან ტანადი და თითქოს ჭრელ სამოსში გამოკვანწული ტარადანები. მაგრამ ყველაზე დიდი უფხო თევზია — ბელუგა. მისი ცალკე ეკუმპლარი ნახევარ ტონამდე აღწევს. მართო ერთი ამ „ჭიჭყინას“ ქვირითი საკმაოა რამდენიმე ასეული კაცის გასამასპინძლებლად. წინათ აზოვის ზღვაში ელტდნენ ბარჯებით, იჭერდნენ და ასახარებდნენ ჩანგლებით, ყველა ისე იჭერდა, როგორც შეეძლო და რამდენიც სურდა. თევზჭერის მტაცებლური წესები, და შემდეგ უფხო თევზის მასობრივი ელუტა აკრძალულ იქნა მისი მარაგის აღსადგენად. ნებადართულია მხოლოდ „გამოჭურა“, ე. ი. იმათი შერჩევა, რომლებიც ბადეში მოხვდება ფარგასთან, ტარანთან და სხვა თევზებთან ერთად.

მაგრამ დავბრუნდეთ ნავსადგურში და თვალყური ვადევნოთ გაყინული თევზის შემდგომ გზას. მისი ნაწილი სპეციალური ვაგონებით იგზავნება რესპუბლიკის სხვადასხვა ოლქში. ნაწილი კი მიდის ადგილობრივ საკონსერვო ქარხანაში. აქ თევზს გააღობენ, მანქანებით აცლიან ფარფლებსა და ქერცლს, გაკუჭავენ და აჭრიან თავს, რეცხენ, ამარილებენ, აყრიან ფქვილს და, ბოლოს, შესწავიენ სურნელოვანი ზეთით სავსე უზარმაზარ ჭურჭლებში.

ზუსტად აწონილ შეწითლებულ, შებრაწულ თევზს ათავსებენ ქილებში, რომელსაც ავსებენ განსაკუთრებული რეცეპტით დამზადებული გემრიელი საწებლით და პერმეტულად ხურავენ.


მაგრამ ჭერ კიდევ როდია მზად თევზის კონსერვი. მათ ასტერილიზებენ მაღალტემპერატურაიან ავ-

ტოკლებში და რამდენიმე კვირას ირკვევენ — აკეთებენ ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ და სხვა ანალიზებს, მხოლოდ ამის შემდეგ ქილებს მიაკრავენ ელვარე ეთიკეტებს წარწერით „კაპარტინა“, „ფარგა“, „ქამბალა“ ტომატით ან ზეთით.

...ყოველ დილას ნავსადგურიდან ზღვაში გადიან

მეთევზეთა სეინერები, სმხრეთელთა მუშაკები, რომლებსაც ში ციალებს და ვერცხლასებურად ბზინავს გამკვირვალე ფსკერიდან კაპრონის ბადეებით ამოღებული თევზი. აზოვის ზღვაზე გაცხარებული თევზჭერაა გაჩაღებული.

### 3. ბაკალნოში



# გზატკეცილი მიკროლიტრაქიანი



„კომუნარის“ კარებიდან მოჭრიან მომცრო წითელი ავტომობილები. ისინი გარეგნულად პირველი გამოშვების „მოსკვიჩებს“ ჰგვანან, მაგრამ მათზე ოდნავ მოკლენი და დაბალი არიან.

ესაა საცდელი ნიმუში ოთხადგილიანი მიკროლიტრაქიანი „ზაპოროეცი“-სა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოან ათასობით ავტომოყვარულები.

„ზაპოროეცი“ გადის გამოცდაზე: ქარხანაში დამზადებულ ყოველ მეოც-დაათე მანქანაზე დადგმულია ხელსაწყოები, რომლებიც აღნიშნავენ კონსტრუქტორებისათვის საჭირო ცნობებს.

... აი თავის „ნათესავეებს“ მოყვება კიდევ ერთი ლამაზი მანქანა. მძღოლი — გამომცდელი ამუშავებს ძრავს. სტარტერის მომცრო ბერკეტი მოთავსებულია მარჯვენა მხარეს, დასაჯდომის ახლოს. „ზაპოროეცი“ მიჭრის ქარხნის ეზოში. კაბინის ფართო შუშებიდან მოჩანს, თუ როგორ გადააქვთ მძღოლს ამწეებს ვეებერთელა ბლოკები — ეს იგება საწინეს-სამჭედლო საამქრო.

სდექ! წინ შეჩერდა სატვირთო ავტო-მანქანათა კოლონა და გზა გადაგვი-ლობა. მაგრამ „ზაპოროეცი“ როდი ელოდება მათ დაძვრას, არამედ უხვევს განზე, და ეზოში მდგარ კონსტრუქტორთა შორის ლავირებით, მიძვრება იქ, სადაც მხოლოდ მოტოციკლი თუ გაეტევა.

ბოლოს, ჩვენ გადავდივართ სიმფეროპოლ-მოსკოვის ავტოსტრადაზე. ვიწვით სპიდომეტრის მაჩვენებლებს — 3744 კილომეტრს. დილის 8 საათი და 30 წუთია. მივდივართ დნებროპეტროვსკისკენ. მძღოლი რთავს გაზს, და „ზაპოროეცი“ ერთბაშად იღებს სისწრაფეს. აი სპიდომეტრის ისარი უკვე უჩვენებს 80... 90... 100 კილომეტრს საათში. მაშასადამე, „ზაპოროეცი“ კარგი მონაცემები აქვს — მას სჭირია ძალიან მოკლე სტარტი.

სწრაფად ვიტოვებთ უკან გზატკეცილის ორივე მხარეს ჩამწყვრივებულ ხეებს. ვუსწრებთ სატვირთო მანქანებს. 120 კილომეტრი, ეს უკვე ზღვრული სისწრაფეა.

გზატკეცილი აღმართს მიყვება. არა თუ 23 ცხენისძალიანი ძრავის მქონე „ზაპოროეცისათვის“, არამედ ყოველი ავტომობილის ძრავისთვისაც კი საგრძნობია დატვირთვა ასეთ პირობებში.

საათში 100 კილომეტრი, 90... 80... 70. სწრაფად ვიღებთ „უღელტეხილს“, მანქანა კვლავ ათანაბრებს სისწრაფეს. საოცარია, რომ სულ არ ვგრძნობთ შვეთარ აჩქარებას. ამის საიდუმლოება კაბინის კონსტრუქციაშია, რომელიც უფრო მეტად წინაა ჩვენს მანქანაში, ვიდრე სხვებთან. ამოზნექილი მინა საშუალებას იძლევა კარგად დაეინახოთ გზა. ძრავი მოთავსებულია ძარის უკანა ნაწილში და მუშაობის დროს არავითარი ხმაური არ ისმის.



8 საათი და 40 წუთია. სპიდომეტრზეა ციფრი 37458. 16 კილომეტრი 10 წუთში გავიარეთ. გასაგებია, რომ „ზაპოროეცის“ პატრონი უფრო ნელნელა წაიყვანს მას...

მეავტომობილებებისთვის ბევრი საზრუნავია სუსხიან ზამთარში. ძნელია ძრავის ჩართვა ყინვაში. „ზაპოროეცი“ ყინვის არ ეშინია. მიკროლიტრაქზე დგას სპეციალური შემთბობი, რომელიც მოქმედებს აკუმულატორულ პატარა რეიტ. საკმაოა მისი ჩართვა, და მოტორი იწყებს შეთბობას, რის შემდეგ, როგორც ცნობილია, ადვილია მისი ამოძრავება. ძარაც ამავე წესით თბება.

დნებროპეტროვსკის ახლოს გავუსწართ სარეისო ავტობუსს, რომელიც ქალაქიდან ჩვენზე ძალიან ადრე გავიდა. 9 საათსა და 40 წუთზე უკან გვჩერება ნოვო-მოსკოვსკი. სპიდომეტრზეა 37547 კილომეტრი. ხანმოკლე შეჩერება. მძღოლი აღებს კაბოტს და ყურს უგდებს. ოთხცილინდრიანი ძრავი ჰაერიათი გამაგრილებლით მუშაობს თანაბრად, უხმაუროდ, ზედმეტი კაქუნის გარეშე.

გზატკეცილიდან ვუხვევთ გაზაფხულის ნიაღვრებით გაფუჭებულ შარავზაზე. მსუბუქი „ზაპოროეცი“ მაინც ადვილად მიჭრის და რბილად ირხვევა ნარვალებზე.

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ გავდივართ ტრასაზე. მუშაობს მინის-მრეცხავი. წყალი წყანწყარით მოედინება ზევიდან და „მეზოვე“ სწრაფად რეცხს ქუჭუსა და მტვერს საქარე მინიდან.

ერთავთ რადიომიმღებს. გაისმის სიმფონიური მუსიკის დაბალი ხმები. 10 საათი და 30 წუთია. გადაარბენა დამთავრებულია. ორ საათში გავლილია 130 კილომეტრი. შევდივართ დნებროპეტროვსკში.

შორს არაა ის დრო, როცა ზაპოროეცის ქარხანა „კომუნარი“ დაიწყებს პატარა მანქანის სერიულ გამოშვებას. მანამდე კი კონსტრუქტორები ცდიან მას, ასწორებენ ნაკლოვანებებს, შეცდომებს. „ზაპოროეცი“ გახდება ნამდვილი სახალხო ავტომობილი.

ი. კუშკოვი.

## დროშის ეკრანი

პატივცემულ მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს ის წლები, როცა მალაზიებში გაჩნდა პირველი ტელევიზორი. ეს იყო „კენ“ — მცირეკერანინი აპარატი, თუმცა მისი მოცულობა პაპიროს „ყაზბეგის“ კოლოფის ოდენა ძლივს იყო, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები მაინც ნახულობდნენ საინტერესო ფილმებს, დედაქალაქის თეატრის ახალ დადგმათა სცენებს, ფეხბურთის შეჯიბრებას.

ახლა ამ კენ-ს ჰყავს კარგი შთამომავლობა — „რეკორდები“, „რუბინები“, „ტემპები“, „სტარტები“. მათს მრავალრიცხოვან ოჯახში საბატიო ადგილი უჭირავთ უკრაინის უძველეს ქალაქში გამოშვებულ აპარატებსაც „ლვოვ-1-სა“ და „ლვოვ-2-ს“.

ლვოვის ტელევიზორების ქარხანა სულ ახლახან ჩაღდა რიგში. მაგრამ მის პროდუქციას უკვე იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ნორჩი საწარმო იზრდება და ფართოვდება, რაც შესაძინევი ხდება ქარხნის ეზოში შევსლის თანავე. სამშენებლო მოედანზე ნელნელა ტრიალებს კომპუტერი ამწეს ისარი. სულ უფრო და უფრო მაღლა ადის ახალი საამქროს კედლები, ხოლო მათ გვერდით დიდ ნათელ დარბაზში ნარნარად მოძრაობს კონვეიერის ლენტა და თეთრხალათიანები რაღაცას ჩაპირკიტებენ, მავთულებისა და რადიო დეტალების აბურდულ ხლართებში. იქ შასებზე ამონტაჟებენ კონდესატორებს, საყრდენებს, ტრანსფორმატორებს.

იქვე, მეორე კონვეიერზე, ყველაფერი ეს თავსდება სარკესავით

მბრწყინავ გაკრივლებულ ფუტლარში, ამონტაჟებენ ხმამაღლა მოლაპარაკეს და, ზოლოს, შიგ სვამენ „ჯადოსნო სარკეს“ — კინესკოპს. საჭიროა მხოლოდ პასპორტის გამოწერა და ტელევიზორი მიიღებს ცხოვრების უფლებას.

ყოველ 4 წუთში მუყაოს ყუთებში ფუთავენ მზამზარეულ „ლვოვ-2-ს“. მაგრამ ქარხანაში ცდილობენ ისე მოაწყონ მუშაობა, რომ მალაზიის-ხოვანი აპარატი მზადდებოდეს ყოველ წუთში. ეს განხორციელებდა შეიღწევის დამლევისათვის.

შევიართ ექსპერიმენტულ საამქროში. აქ შესამჩნევი სიჩუმეა, აღამიანებიც ნაკლებად არიან და მათი მოძრაობა ისეთ თანაბარი და მტკიცე როლია, როგორც იქ, კონვეიერთან. ეს გასაგებია. ექსპერიმენტულ საამქროში ხომ სრულიად ახალი მოდელები იქმნება!

— ამ წლის მეორე ნახევარში დავიწყებთ ტელევიზორ „ვერხოვინას“ გამოშვებას, — გვეუბნება საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი პ. როგოვინი და გვიჩვენებს ლამაზ აპარატს, რომელიც თითქმის ორჯერ უფრო პატარაა „ლვოვ-2-ზე“. მისი ეკრანი იმავე სიდიდის დარჩენილა. ტელევიზორის გაბარტების შემცირება მბეჭდავი მონტაჟის საშუალებით მოხერხდა.

— ჩვეულებრივი მონტაჟი, — გვიხსნის პ. როგოვინი, — ძვირი ღირს, ბევრ შრომას მოითხოვს და მაინც არასაიმედოა: შერხვევისაგან, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისაგან ხშირად წყდება მოქმედება. მბეჭდავი

სქემა გამორიცხავს ასეთ დაზიანებათა შესაძლებლობას. არსებობს სქემათა ბეჭდვის რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთი მათგანი გამოიყენება სამამულო ტელევიზორ „სტარტში“.

ლვოვის სპეციალისტებმა დამუშავეს კიდევ უფრო სრულყოფილი.

ყველასათვის ცნობილია, რომ სატელევიზიო გადაცემების ნახვა უმჯობესია ჩაბნელებულ ოთახში: როცა ბინაში ბევრი სინათლეა, კინესკოპზე ძლიერ შეიმჩნევა გამოსახულება. წელს ლვოვის ქარხნის კონვეიერიდან გადმოვა ალუმინირებულ ეკრანის ხუთი ათასი ტელევიზორი. ასეთ ეკრანზე გამოსახულება განსაკუთრებით მკაფიოდ და ნათლად ჩანს. მისი კარგად დანახვა მზის სხივებით განათებულ ოთახშიც კი შეიძლება.

ვჩერდებით კაკლის ხის პატარა მაგიდის ახლოს, სადაც ელვარებს კინესკოპის ოვალური კვადრატი. ესეც ახალი ამბავია. ტელევიზორ „უკრაინას“ აქვს თავისებური კონსტრუქცია. მთელი „მექანიზმი“ მოთავსდა პატარა მაგიდაში, ხოლო კინესკოპი ისეა დამაგრებული, რომ მაყურებელთათვის მოხერხებულად შეიძლება დეს მისი ყოველ მხრივ მიბრუნ-მობრუნება.

როგორც კი ლვოვის ელექტროლაბორანტების ქარხანა აითვისებს 110 გრადუსიან გადახრის კუთხიანი კინესკოპების წარმოებას, პატარა მაგიდატელევიზორებიც გაჩნდებიან მაღაზიაში.

...„ლვოვ-8“, „ლვოვ-60“, „ტრემბიტა“. ამ აპარატურის ნიმუშები უკვე შექმნილია და ისინი ისე განსხვავდებიან პატარა კენ-დან, როგორც სწრაფმფრინავი ტუ-104 პო-2-დან.

კონსტრუქტორები კი განაგრძობენ ოცნებას და ის, რაც მათ ნახაზებად გაველებს ვატმანის ქალაქს, ხანდახან ფანტაზიას ჰგავს. მაგრამ ხეალ იგი განხორციელდება მავთულების, კვანძების, ნახევარ გამტარების ხლართებში. მბეჭდავი მონტაჟისა და ნახევარგამტარების დანერგვა გვაძლევს საშუალებას შევქმნათ ფართო სარგებლობის ტელევიზორები, რომლებიც შეიძლება სურათებით ჩამოვიკიდოთ კედელზე.

თქვენ მიიღებთ ბინას, ერთ-ერთ ოთახში პირდაპირ კედელზე ჩამონტაჟდება ვერცხლისებრი ეკრანი, ისეთივე — როგორც კინოთეატრშია. დააქვით ხელს ღილს, ეკრანი აინთება ლურჯი მოციმციმე ელვარებით და გახდება ჭადონური სარკე, რომელშიც აისახება ჩვენი ვრცელი და ხალისიანი სამყარო.

მ. ტაჩუკი.

მექნარე უკრავდა. თითქოს გაზაფხულის გრივალს აეტაცნა ვაშლას უნაზესი ფურცლები, და ისინიც ტრიალებდნენ და რიალებდნენ თავბრუდახვევით.

ქნარზე ასრულებდნენ ა. კოს-ანატოლსკის კონცერტს. მოვიხედე. კომპოზიტორი იჯდა რაღაც საშინლად დაძაბული, თითქოს შორს იყო აქედან. ამაზე მტყუვლებდა მისი გამოხედვა.

„ნეტავ რასა გრძნობს ახლა ის? — ვიფიქრე მე. — ნეტავი რას ხე-



დავს ხმათა ამ ავრივალებაში? — იქნებ, მის თვალთა წინაშე გადაიშლება მშობლიური კოლომის წყნარი, ამწვანებული ქუჩები. ის კი, პატარა ტოლიო, ზის პრუტის ნაპირას და უსმენს მისი წყლების ღუღუნს, შორეულ სიმღერას...

და, იქნებ, ომის საშინელებათაგან დასახიჩრებული ბავშვობის დღეთა მოგონებებიდან, ოცნებამ გადასტყორცნა სიჭაბუკის წლებში, ლვოვში, სტრიისკის ხეივნის მყუდრო კუნძულში... სიჭაბუკის წლები. სიყვარულის ხანა.

მგონია, ვხედავ, ანატოლ იოსებისძეს თვალები ცრემლით ავესო.

ღიბ, ყველაზე მეტად მას მუსიკა უყვარდა. და სურდა ყოფილიყო კომპოზიტორი. ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაებადა ეს სურვილი. შესაძლოა იმ დროს, როცა პატარა გიმნაზიელი ტოლიო დადიოდა პრუტის ნაპირას და უსმენდა საღამოს ბინდში ჩაბრუნებული გორაკების მუსიკას. მაგრამ... არ ასვენებდა ეს უსაშველო „მაგრამ“. საჭირო იყო ლუქმა პურის შოვნა. და ამის გამო ჭაბუკს მოუხდა იურისტობის შესწავლა და

მხოლოდ დამატებით სწავლობდა მუსიკას კონსერვატორიაში. და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების დამთავრების ორი დიპლომი მაგიდის ყუთში შეენახა.

...რიალებენ და ირხევიან მუსიკის ხმები, ეს თითქოს ვაშლის ფოთლებს შრიალ-შრიალი იყოს. ქვითინებენ ქნარის სიმები, შესაძლოა ეს სტირიან და ქვითინებენ ის სიმღერები, რომელნიც ვეღარ დაიბადნენ? უმღერალი სიმღერები, სიჭაბუკის სიმღერები...

და ჭადარიტომოსილი ადამიანი ხედავს რესტორნის დარბაზს, პაპიროსის ბოლისგან გაყვითლებული რიილის კლავიშებს.

ყოველ საღამოს ერთი და იგივე. ყოველ საღამოს ფოქსტროტისა და ტანგოს თავმომაბეზრებელი მელოდები.

თითები იღებდნენ დისონანსურ აკორდებს. თითები უკრავდნენ რადღაც სხვის მელოდებს... სულსა და გულში კი...

ქდერს ქნარი... იგი მაშინაც ქდერდა, უმუშევრობისა და ლუქმა პურის შოვნისათვის წაწვლის შორეულ წლებში. სული კი სავესე იყო მუსიკით. ეს იყო დიდი მუსიკა, რომელიც მოითხოვდა ოპერებისა და ბალეტების პარტიტურებს, კონცერტებს, სიმღერებში გადასვლას.

მე ვფიქრობ ნიჭიერი ადამიანის ბედზე, მის გზაზე ხელოვნების მწვერვალებისკენ. მინდა ვადავხედო ანატოლი კოს-ანატოლსკის გზას. მასთან მაკავშირებს ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამეგობრობა. მას შეუძრულა 50 წელი და არსებობდა კომპოზიტორული მოღვაწეობის 20

წელი. ღიბ, მარტოოდნ 20, რადგან მხოლოდ ვაერთიანებენს შემდეგ მხარხარსა კოლომიელმა. ანატოლი კოს-ანატოლსკიმ ის, როცა უნაოიც შესწევდა მას.

სიმღერები და რომანსები, და მათ შორის ისეთები, როგორიცაა „ახალი ვერხოვინა“, „კოლომია-ქალაქი“, „ბულბულის რომანსი“, „დაუფიწყარი ვალსი“, „თეთრი ვარდები“. განა ყველას ჩამოთვლი? აქაა შექსპირის სონეტებიც და სახუმარო საბავშვო სიმღერებიც.

ხალხი იცნობს მას და უყვარს სიმღერების შემქმნელი ა. კოს-ანატოლსკი. სწორედ სიმღერებისათვის მიენიჭა 1951 წელს სტალინური პრემია.

მაგრამ ფართო ტილოებიც იტაცებდა და აი, იმავე 1951 წელს, ლვოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგა რომანტიკული ლეგენდა „ჩხიკვის ფრთა“, რომლის ჩანაფიქრი კომპოზიტორს შთააგონა ივანე ფრანკოს ლირიკულმა ნოველამ.

ბევრი, ძლიერ ბევრი და ძნელი მუშაობა დასჭირდა ოპერა „განთიხალს“ (და ეს ყველაზე კარგად ვიცი მე — ლიბრეტოს ავტორმა), რომელსაც პირველ ვარიანტში ეწოდებოდა „მზის შესახვედრად“. კომპოზიტორმა მთელი თავისი უნარი, მგზნებარე ნიჭის მთელი მღელვარება ჩააქსოვა ამ ოპერის განხორციელებაში. ესაა ნამდვილი ჰომეა, სადაც გადმოცემულია ვალიციის ბედობალი, რევოლუციურ თავდადებათა რომანტიკა, სევდა თავისუფლებაზე, ოცნება გაერთიანების შესახებ.

მექნარე იღებს უკანასკნელ აკორდებს. კონცერტი დამთავრებულია.

და აი ჩვენ გავდივართ ლვოვის ქუჩებში.

ჩემი ჭადარა ამხანავი ახალგაზრდულად ტანადია, თვალებში მოუსვენარი ცეცხლი უგვიგოხებს... იგი რაღაცას უსტვენს და ღუღუნებს თავისთვის.

— პარტიცემული თავმჯდომარე, უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის ლვოვის ორგანიზაციის გამგეობისა, სტალინური პრემიის ლაურეატო, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე, ლისენკოს სახელობის ლვოვის კონსერვატორიის დოცენტი, კომპოზიტორი ანატოლი იოსებისძე კოს-ანატოლსკი, რას ღიბინებთ ასე გულჩათხრობით? — ვეკითხები მე.

— ო, ო, საიდუმლოებაა! თუმცა გეტყვი — ესაა არიოზო ოპერეტიდან.

— როგორ თუ ოპერეტიდან? — გავიოცე მე.

— ღიბ, ღიბ, ოპერეტიდან, რომელსაც ვწერ დრამატურგ ევგენი კრავჩენკოსთან ერთად. ეს იქნება სიჭაბუკის, სიხარულისა და სიყვარულის ოპერეტი...

— ო, ღიბ! ეს თქვენ შეგიძლიათ. თქვენს გულში ხომ მუდამ სიჭაბუკეა, სიხარული და სიყვარული.

არისტინლავ ბრატუნინი

„გვირგვინების ოჯახი“ შალვა დადიანის უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოებია. ავტორის მოფიქრებით ის შეადგენდა „მეჩვი-რობუს“ ციკლის ერთ-ერთ ნაწილს. სამწუხაროდ, ხანდაზმულ მწერალს არ დასცალდა ამ ციკლიდან სხვა ნაწარმოებების დაწერა და გამოქვეყნება.

„გვირგვინების ოჯახის“ მოქმედი პირები მახლობელი წარსულის, რევოლუციამდელი ცხოვრების შესახებ; ის ფართო სოციალური ეპოპეა, რთული, ორიგინალური სიუჟეტური განფენილობით.

შალვა დადიანისათვის უცხოა სინამდვილის პასიურ-ფოტოგრაფიული, პირობით — აბსტრაქტული ასახვა. იგი მიისწრაფის მისი კონკრეტულ რეალურ გამოხატვისაკენ.

ავტორმა შექმნა ნაწარმოები, რომელშიც რეალისტურად დახატულია თავისი დროის წინ-ჩვეულება, ყოფა და კონფლიქტები.

„გვირგვინების ოჯახის“ მოქმედი პირები სინამდვილისაგან ნაკარნახევი სახეებია. ეს რეალისტური სახეები წარმოადგენენ ფართო მხატვრულ განზოგადობას. მწერალი პიროვნების ცხოვრებაში ეძებს მნიშვნელოვან შინაარსს, დამახასიათებელ მოვლენებს.

შალვა დადიანი თანმიმდევრულად იცავს ნაწარმოებში პერსონაჟის სოციალური დახასიათების მეთოდს. იგი ადამიანს აყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ცენტრში. მწერალი გვიჩვენებს, თუ თანდათან როგორ ვცვლდება საარსებო ძალა გვირგვინების და მხოლოდ მოგონებებით ინარჩუნებენ ისინი ყოველგვარ აზრს მოკლებულ არსებობას. განსაკუთრებით სრულად რომანში დახასიათებულია ნექტარინა. იგი წარმოდგენილია, როგორც ტიპური სახე თავადაზნაურულ-არისტოკრატიული სინამდვილისა, თავისი ქედმაღლობით, დესპოტობით და ავბორცი ბუნებით. ნექტარინას ქცევა სავსებით ახ-

ეს მოკვეთილი და დინამიკური ექსპოზიცია სათავეს უდებს ნაწარმოების შინაარსს. აზრის კონკრეტულობა და გამოთქმის სიუსტე არის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი შალვა დადიანის ამ ნაწარმოებისა.

რომანში შალვა დადიანი დიდ ადგილს უთმობს სოციალური ურთიერთობის საკითხებს. ნაწარმოებში ვრცელად არის საუბარი ხიზნების შესახებ. იგი გვიჩვენებს მათ მიმე ყოფას, უფლებობასა და ეკონომიურ სიღლებიერს. მწერლის თანაგრძნობა მშრომელი ხალხის მხარეზეა. დაუფიქარი სახეა ობიშხია.

მართალია, შედარებით მკრთალად, მაგრამ მწერალმა მინც დაგვიხატა კაპიტალისტური სინამდვილის სახეები. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ლევარსი კვიზინია, რომელმაც შესძლო მტაცებელ შემდგარიყო ბურჟუაზიული განვითარების გზაზე და ჩვენს სინამდვილეში გამხდარიყო მისი დამახასიათებელი წარმომადგენელი.

მაგრამ ამ რომანის ყველა ნაწილი როდია ერთნაირად სრულფასოვანი. უფრო ფართო და გაშლილია ნაწარმოების წინა თავები. რომანის ბოლო თავებში მწერალი ჩავარდა ერთგვარ სქემატიზმში, სადაც მხატვრული ჩვენების პრინციპი შეცვლილია მოგონებებით, მემუარული თხრობით. ამ ნაწილში ეპიზოდურად გამოჩნდებიან ისტორიულად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მსახიობები და სხვები.

„გვირგვინების ოჯახის“ თავისებურ მხატვრულ სახეს აძლევს ეგრეთ წოდებული „შენაკადები“. ეს „შენაკადები“ მწერლისათვის ძვირფას სახესთან, შეყვარებულთან გამოსაუბრებას წარმოადგენს. ამ „შენაკადებში“ არავითარ მისტიკურ სახესთან არ გვაქვს საქმე, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი კრიტიკოსი ამ ნაწარმოების პირველად გამოქვეყნებისას. ციხედული რეალური სახეა, რომელსაც მწერალი მოსავს რომანტიკული იერით. ციხედულთან გამოსაუბრებით, გარდა იმისა, რომ ავტორი ერთმანეთთან ორგანიულად აკავშირებს ამბავთა ხლართს და შინაარსის განვითარებას, აგრეთვე, გამოთქმულია მრავალი საგულისხმო შეხედულება ცხოვრებისა და ადამიანების შესახებ.

შალვა დადიანი კომპოზიციის შესანიშნავი ოსტატია. მისი პროზის კომპოზიციური თავისებურება მდგომარეობს მასალის უადრეს კონცენტრირებაში, სიმჭიდროვეში. მცირერიცხოვან სტრიქონებში იგი ატევს მდიდარ შინაარსს. „გვირგვინების ოჯახში“ მრავალი ეფექტური მხატვრული ეპიზოდია. მშვენიერი პოეტური სურათია ღამით თევზაობა მდინარეზე, ცად ატყორცნილ ბუმბერაზ მუხის აღწერა და ბურთის თამაში; რევოლუციურად განწყობილი ხალხის რუასთან შეკრების ეპიზოდი ერთგვარად ადავლებს ანალოგიურ სურათს ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან“, ხოლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და რევოლუციაზე საუბარი მოგვაგონებს ე. ნინოშვილის რომანს „ჯანყი გურიაში“.

„გვირგვინების ოჯახში“ ბუნების როლი არცთუ ისე დიდია, მაგრამ ის მინც თხრობის განუყოფელი ნაწილია. ბუნება არა მარტო ფონია, არამედ თვით ცხოვრება, აქტიური მონაწილე ნაწარმოების სიუჟეტური განვითარებისა, რომელიც ემორჩილება სასიცოცხლო პროცესების სოციალურ დახასიათებას; ბუნება და ადამიანი შეადგენენ ერთ მთლიანობას. გვიხატავს რა ბუნების სურათებს, შალვა დადიანი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ის ადამიანის სულიერ სამყაროზე, მის გრძნობებსა და მისწრაფებებზე.

„გვირგვინების ოჯახში“ ბუნების სურათები ყოველთვის ხასიათდებიან რელიეზობით.

შალვა დადიანს საუცხოოდ ეხერხება მხატვრული პორტრეტების ხატვა. პორტრეტი „გვირგვინების ოჯახში“ ასრულებს დახასიათებით ფუნქციას. ადამიანის გარეგნობაში მუდავნდება მისი ხასიათი, შინაგანი არსი, საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად იგი გვიჩვენებს პერსონაჟის ერთ რომელიმე ნიშანს, ეს უფრო მაშინ, როდესაც გვიხატავს არა მთავარი პერსონაჟის გარეგნობას.

„გვირგვინების ოჯახში“ ნოვატორობასთან ერთად იგრძნობა ტრადიციის ძალაც. მწერალი თავისი მხატვრული მეთოდით დაკავშირებულია ქართული რეალისტური პროზის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. რომანში იგი ხშირად იყენებს ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, რაფ. ერისთავისა და სხვათა ლექსებს, აგრეთვე, ხალხურ ლექსებს, ხატავს ხალხურ ადა-ჩვევებს, თამაშობა-გართობებს. ამ ნაწარმოებში მწერალს გამოყენებული აქვს მრავალი ხალხური ბრძნული თქმა ანდაზის სახით.

შალვა დადიანის მხატვრულ ნაწარმოებთა ენა ეყრდნობა საერთო ეროვნული ენის მაგისტრალურ ხაზს. მას სიტყვის განსაკუთრებული გრძნობა აქვს, ღრმად აქვს ათვისებული ყველა მისი ნიუანსი. იგი ლიტერატურული ენის ბრწყინვალე ოსტატია, რომელიც გვიკვირებს ფერების სიმდიდრით, სიუსტე-ტით და გამომსახველობითი ძალით.

„გვირგვინების ოჯახი“ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ღირსეული ნაწარმოებია.



სიათებს ამ პერსონაჟის სოციალურ არსს, თუმცა ამავე დროს არ უკარგავს მას ინდივიდუალურ თავისებურებას.

ხასიათები, რომლებსაც ხატავს შალვა დადიანი, გამოირჩევა თავისი სიცოცხლით და კოლორიტით. ამიტომ ტიპიურობა დამახასიათებელია ნაკლებ მნიშვნელოვანი სახეებისთვისაც. ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის განვითარებაში შალვა დადიანი დიდ ადგილს უთმობს ნექტარინას მოურავისა და საყვარლის გუტატის ხასიათის გახსნას. ამ ადამიანების ფსიქოლოგიას მწერალი გამოხატავს წრესთან ურთიერთობაში, პრაქტიკა და ქცევაში.

მხატვრული გამოხატვის მთელი სიძლიერით არის „გვირგვინების ოჯახში“ წარმოდგენილი გარემო. თავისებურია ექსპოზიციის ხედვებმაც, რომელსაც სრულყოფილად ფლობს შალვა დადიანი. მას ყოველთვის ექსპრესიული ექსპოზიცია აქვს ნაწარმოებში. „გვირგვინების ოჯახი“ შენაკადთა თავის შემდეგ ასე იწყება:

„ტყიდან გამოვიდა კაცი.

„ცხენოსანი.

„ნაბიანი.

„თავი ყაბალაწაკრული შქონდა მეგრულად და ზურგთან თოფის ლულა მოუწინა გვერდზე მოგდებული ნაბდის კუთხიდან.

„ცხენი მეჩვი-რობუს ფერდობზე შეაჩერა და თვითონ აღმოსავლეთისაკენ გაიხედა.

„სოფელ ლეძაძამის შეავლო თვალი.“

საბჭოთა ხალხმა არ შეიძლება არ იამაყოს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობით, რომელიც აღსავსეა მისწრაფებით დაეუფლოს მეცნიერების უმაღლეს მწვერვლებს, ჩაწვდეს ბუნების საიდუმლოებას და მისი სიმდიდრე მოახმაროს ხალხის მომავალ ბედნიერებას.

მაგრამ ჩვენთვის უცხოა უქნარა და ხულიგანი, ყველა ის, ვისაც არ უყვარს პატიოსანი შრომა, ვინც სახელს უტეხს ჩვენს ახალგაზრდობას.

ასეთი კატეგორიის ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია უღარდელი ცხოვრება, ლოთობა და ადამიანისადმი უბატოცემლობა.

აი რამდენიმე ფაქტი:

ამას წინათ, საღამოს 8 საათზე, შეიკრიბა ოთხი ახალგაზრდა, თითქოს საკმაოდ განათლებულნი იმისათვის, რომ გონივრულად დაესვენათ. ისინი რესტორან „საქართველოში“ წავიდნენ, ღამის 12 საათამდე სვეს. მთვრალეობა ღრიალით რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ. იქ მათ არ მოეწონათ ქუჩაში მიმავალი მოქალაქე კილასონია. ასტეხეს ჩხუბი და სამი კაცი დაქრეს. ვინ იყვნენ ეს ყმაწვილები: შოთა ფირცხალაიშვილი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი, რომელსაც მამა ინჟინერი და დედა ექიმი ყავს. ომარი აროშიძე — კომკავშირელი, ცენტრალური რადიოსადგურის ტექნიკოსი; მამა ექიმი და დედა ბუღალტერი ყავს; მინაშვილი თემური, მამა ინჟინერი, დედა ექიმი, თვითონ უქნარა და გათავებულად. გამყრელიძე თამაზი, კომკავშირელი, არსად არ მუშაობს. აი თაიგული, რომელიც ჩვენი ახალგაზრდა თაობის ღირსებას არცხვენს.

ამას წინათ ფირსმანის მოედანზე მთვრალე კომკავშირელმა გრიგოლ ტოფაძემ, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, ასტეხა ჩხუბი, ჯერ მუშტებით ცემდა ყველას, ვინც წესრიგისკენ მოუწოდებდა. შემდეგ დანით დაერია ხალხს და მიიმედა დაქრა უღანაშაულო მოქალაქე. ვინ იცის კიდევ, რას არ ჩაიდინდა, რომ თავაწყვეტილი ხულიგანი არ შეეპყროდ.

დაუყოვნებლივ აცნობეს ამის შესახებ ინსტიტუტს, მაგრამ იქ რატომღაც არ გახადეს ეს ფაქტი ფაკულტეტის მსჯელობის საგნად. ასეთ უღარდელობას ზედზედ მოყვა მსგავსი და უფრო მიიმე დაწაშულბანი. არ გასულა რამდენიმე დღე და რუსთაველის პროსპექტზე დაკავებული იქნა ამავე ინსტიტუტის სტუდენტი კომკავშირელი, მთვრალი ვაჟა გერსამია, რომელმაც ტარბელ მკლავაძეობა დაიწყო, კაცსა და ქალს განურჩევლად ცემდა. მის მიერ გამოწვეულმა პანიკამ პროსპექტზე მოძრაობაც კი შეაჩერა.

ასევე უმსგავსო მოქმედება ჩაიდინა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა მთვრალმა ივანე ბერაძემ, რომელმაც დანით დაქრა თავისი ამხანაგი მეტრეველი, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ხოზბულაძე ჭიოგემამ ამხანაგებთან ერთად ასტეხა ჩხუბი სასადილოში და ყველაფერი დაღწა.



# წესრიგი ახალგაზრდობაში უნდა დააყაროს

ლოთობა ხშირად მკვლელობას, ოჯახის დანგრევას და ახალგაზრდის დაღუპვას იწვევს.

ამას წინათ სოფელ თელითის საშუალო სკოლის მოსწავლემ კომკავშირელმა ვალერი ვართანოვმა სანადირო თოფით მოკლა თავისი მამა. მამის მკვლელობის მიზეზთა შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ვართანოვის მამა ლოთობდა, ავინებდა თავის ცოლსა და შვილს, ცემდა მათ. ასეთმა არეულმა ოჯახმა შვილი ბოროტების გზაზე დააყენა. ვართანოვის ოჯახის შესახებ იცოდნენ სკოლის მასწავლებლებმა და კომკავშირის ორგანიზაციამაც, მაგრამ ქმედითი ზომები არავის არ მიუღია და, აი, შედეგები.

ეს ფაქტები იმითმ მომყავს, რომ მსგავსი მოვლენების სრული ლიკვიდაციისათვის საჭიროა იზრუ-



ნონ ჩვენმა მასწავლებლებმა და სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. როცა მოსწავლეს უწევს იტყობა, სწავლაში რჩება, საჭიროა მივაკითხოთ მის ოჯახს, ჩავერიოთ მის საქმეში და დავებმართო ჩამორჩენისა და ცუდი ყოფაქცევის გამოსწორებაში.

შუადღისას, როცა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა მიმდინარეობს, როცა ფაბრიკა-ქარხნების დაზვერვით და დუმელებთან კომუნისტური შრომის ბრიგადები სასწაულებს ახდენენ, ან ღამით, როცა ხალხი მშვიდად ისვენებს, სწორედ ამ დროს ნახვით ქუჩა-ქუჩა აფორიაქებულ ახალგაზრდებს, პროსპექტის სახლების კედლებსა და ხეებზე მიყუდებულ უქნარა ადამიანებს, რომელთა გარეგნობაც კი მათი სულიერი ცხოვრების დაჩაღუნებაზე მეტყველებს.

უკვე დროა ბოლო მოეღოს ამ სამარცხვინო მოვლენას. ჩვენმა კომკავშირმა უნდა მოაწყოს ლაშქრობა, რათა არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს შრომისა და გონივრული დასვენების გარეშე. ლოთობა და უქნარობა გამოცხადებული უნდა იქნეს ახალგაზრდობის მტრად და იგი ძირშივე უნდა ამოიკვეთოს.

სიმთვრალე ხშირად ემთხვევა ხელფასებისა და სტიპენდიების აღებას.

ცოტა როდია შემთხვევა ხელფასის აღების შემდეგ კოლექტური ქეიფის მოწყობისა, რომელიც ცოდება ყოველგვარ ნორმებს, გადადის თავაწყვეტილ ხულიგნობაში და ხშირად მთავრდება მკვლელობით.

ასე მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინ ელექტროძრავის ქარხნის კოლექტივში. ხელფასის აღების შემდეგ შეიკრიბა 8 ამხანაგი ქარხნის უფროსი ტექნი-

ლოგის, კომკავშირელ გოგაძის მეთაურობით და გამართეს ქეიფი სასაუზმეში. დათრობის შემდეგ უქმყოფალება ჩამოვარდა ამ ქეიფის მღნაწილზე ბეროზაშვილსა და წვევლიძეს შორის. 1 ნაცვლად იმისა, რომ დაემშვიდობნათ ისინი, პირიქით, წააქუნეს მოჩხუბრები და გვიან ღამით მატარებელს ასში ბედის ანაბარა. ბეროზაშვილი და წვევლიძე ქეიფის მეთაურის კომკავშირელ გოგაძის თანხლებით ერთმანეთთან ანგარიშის გასასწორებლად წავიდნენ დიდუბის ახალი ხიდისაკენ, იქ გამართეს ხელჩართული ბრძოლა, რომელსაც დამშვიდებით უყურებდა გოგაძე, ამ ჩხუბში იმდენად გამხეცდა ბეროზაშვილი, რომ დანა ჩასცა ვულში წვევლიძეს და მოკლა იგი. ბეროზაშვილი და გოგაძე მიიმალნენ. აი კოლექტიური ქეიფისა და ლოთობის სამწუხარო შედეგი. მილიციის ორგანიზაციამ რომ მეტ დახმარებას უწევდეს ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციები, დანაშაული აღმოიფხვრება. თითო-ორთა მავალითის არსებობა ამ დიდი საქმის კარგი დასაწყისია. ასე მავალითად: ქალაქის ერთ-ერთ ქუჩის კუთხეში, გვიან ღამით, ბნელ ადგილზე სამი ახალგაზრდა იდგა. ისინი უნებურად იპყრობდნენ გამგულთა ყურადღებას, ვადაპარებული მღელვარებით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ეფარებოდნენ ჩრდილს, იგრძნობოდა, რომ ცუდი საქმის ჩადენას აპირებდნენ, მაგრამ ვერ გადაწყვიტათ. მათ მიიპყრეს ორი კომკავშირელის ყურადღება და სწრაფად შეატყობინეს ამის შესახებ ორგანოს. ადვილზე უმალ გაჩნდა მსუბუქი ავტომობილი, საიდანაც ორი პირმცენარე ახალგაზრდა გადმოვიდა. სამნი მანქანაში მიიწვიეს. დაბნეულებმა უარიც კი ვერ უთხრეს მანქანიდან გადმოსულ ბიჭებს და უსიტყვოდ გაყვნენ მათ. აზრზე მხოლოდ მაშინ მოვადნენ, როცა ავტომობილი მილიციის სამმართველოს ეზოში შევიდა. მაგრამ გვიანდა იყო.

ვინ აღმოჩნდნენ ისინი? ისინი იყვნენ ალბერტ არუთინოვი და მისი ამხანაგები, რომლებსაც აღმოაჩნდათ ცეცხლმსროლელი იარაღები. ამრიგად ფიზიკური კომკავშირელების თვალმა სამი ახალგაზრდა ააღდინა ბოროტების გზას. ისინი ძარცვის ჩასადენად იყვნენ გამოზადებული.

ამ ბოლო ხანებში კომკავშირის თბალისის კომიტეტის მოწოდებით მილიციის ორგანოებში სამუშაოდ ოცამდე კომკავშირელი მოვიდა, თუმცა 200 კაცი უნდა მოსულიყო. ყოველი ჩვენი მილიციელი რომ მაღალი კულტურისა და განათლების იყოს, მაშინ საქმე უკეთესად წარიმართებოდა. მოსული ბიჭები უკვე მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. კომკავშირელმა შუბლაძემ, რომელიც სამი თვეა მილიციაში მუშაობს, ორი მძარცველი შეიპყრო მარტო, განაიარაღა ისინი ღამით და მიიყვანა მილიციაში.

წესრიგის დარღვევისა და ამორალური ქმედობის ყოველი ფაქტი უნდა გადავაციოთ საყოველთაო მსჯელობისა და გაკაცების საგნად, ყველამ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს სწავლისა და შრომის გარეშე, რაც უპირველესი პირობაა დანაშაულის მოსპობისათვის. სხვა ვინ უნდა ზრუნავდეს ჩვენი ქალაქის წესრიგისათვის, თუ არა ჩვენი ახალგაზრდობა, თბილისის მკვიდრები რომლებსაც ვულთადად უყვართ ჩვენი შესანიშნავი დედაქალაქი.

მ. შიორაძე,

ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს პარტიზონის მდივანი.



# ამღვრეული წყაროები

ფელეტონი

ვისაც გამაგრებული წყლის კიოსკში სხვადასხვა ფერის, სახელწოდებისა და ხარისხის სიროპით შეზავებული ნატახტარი უგემია, ის, ალბათ, არა ერთხელ მოისმენდა ასეთ დიალოგს:

— რომელი სიროპი გნებავთ?

— სიროპი არ მინდა; სუფთა წყალი დამისხით.

ეს „სუფთა წყალი“ რაღაც უცნაურად ეღერს, „როგორ თუ სუფთა, განა სიროპიანი წყალი უსუფთაოა?“ — ფიქრობს წყლის გამყიდველი, ნერვიულად გართმევთ ორშაურაინს და გაზიანი წყლით სავესტის ცხვირწინ გიკაუნებთ. მის გულისწყრომას, რასაკვირველია, აქვს სამართლიანი საფუძველი. სიროპიანი წყალი არამც და არამც ჭუჭყიანი არ არის. განა თბილისელი წყლის გამყიდველი იკადრებს იმას, რომ სიროპში დამწვარი შაქრის წვენი გაურიოს და სხვა მსგავსი ეშმაკობით მომხმარებელი მოატყუოს? მაშ რატომ ეძახიან ნატახტარს „სუფთა წყალს“ მომხმარებლები?

ამ შიზენის გამორკვევა ძნელია. ის კი გამორკვეულია, რომ წყლის გამყიდველს „სუფთა წყლის“ ხსენება ნერვებს უშლის და აფორიაქებს. იმდენად აფორიაქებს, რომ ნატახტარის სუფთა წყალი ჭარბით შესძულდა და...

და სათქმელი რომ არ გაგვიჭიანურდეს, ვილაპარაკოთ კონკრეტულად, მისამართებით, დროისა და ადგილის დასახელებით.

თბილკეცევაჭრობამ ლუდის გამაგრებული წყლის, ძეხვ-მაპიროსისა და სხვათა შერეული სავაჭრო კიოსკი გახსნა კიროვის სახელობის რაიონის დახურულ ბაზართან, ზედ ბაზრის ყურთან, მარტხენა მხარეს, კიბის დასაწყისში სოკოსავით ამოსული მოზაიკით მოხატული წყარო იყო, იქიდან ბროლივით თეთრი წყალი ამოჩხჩხუხებდა. „ეს ხომ სუფთა წყალიაო,“ თქვა გამყიდველმა მ. სარქისოვამ, ისე აღელდა, რომ ერთი ხელის დაკვირვებით გაქრო იგი. ეს ოპერაცია დიდი მოხერხებით ჩატარა: ააშენა ლამაზი კიოსკი და წყაროს ზედ თავზე გადაახურა (იხ. სურ. I), დააყენა კიოსკში თავისი ვაი ყორა და „უსუფთაო წყალს“ აყიდვინებს. წყაროს გაჭრობა ისეთი დიდი ხელოვნებით ჩატარდა, რომ გამგლეშაპ მაროს „გველშაპ-მარო“ დაატყვეს (ალბათ, ხალხური ზღაპრების მიხედვით, სადაც გველშაპს უსათუოდ წყარო აქვს დაპყრობილი და უმსხვერპლოდ, უსასყიდლოდ წვეთ წყალს აბავის ატანს). ვიღაც გამგლეშაპ აბა ვინ რას დაუჭერებს, მაგრამ ახლა გამომგლეშაპებმა ამოიღეს ხმა. „გველშაპ-მარომ“ ახლა კი იმდენი უხერხულობა იგრძნო, რომ ოციოდე მეტრის მორშორებით ახალი წყარო ამოიყვანა. თითქოს არაფერი მომხდარა: წყარო იყო, წყარო არის, მარო არ იყო, მარო არის.

„დინამოს“ სტადიონთან მარჯვენა კუთხეში, ტროლეიბუსის გაჩერების წინ იდგა ლამაზი შადრევანი, შადრევანიდან საამოდ ამოჩხჩხუხებდა ბულაჩაურის ცივი წყალი და გამგლეშაპ თუ გამომგლეშაპ გულს უგრილებდა. ეს იყო ზამთარში. მობრძანდა გაზაფხული. დადგა წყლით ვაჭრობის სეზონი. წყაროს გვერდით ჯერ სტადიონის რესტორნის გამაგრებული წყლით მოვაჭრე სონა მისაშვილი გაჩნდა, მერე თბილკეცევაჭრობის ბურახის ცისტერნი მოგორდა და თან გამყიდველი აკაკი არჩუაძე მოპყვა. საქმარისი იყო მათი გამოჩენა და ლამაზმა შადრევანმა მოწყურებული კაცის ჭირი წაიღო. ერთიანად მიარყ-მოირყა, გვერდები შემოეფშენა და ამ უბედურებამ ბულაჩაურის წყალი იმდენად შეაშინა, რომ უკან გაბრუნდა...

გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიან სახლთან, ასეთივე შადრევანი იდგა, ლამაზი, თვალისმომჭრელი. გაიგვალა მოქალაქე, ოდნავ მოიხრეშოდა წელში და ანკარა ნატახტარი მისამართის უკითხავად მიჩქეფდა ხახაში. ეს იყო ზამთარში. დადგა წყლით ვაჭრობის სეზონი. მოგორდა თბილკეცევაჭრობის ბურახის ცისტერნი, თან გამყიდველი ნიკოლოზ ქათამაძე მოპყვა, და მჩქეფარე ნატახტარმა გზა იცვალა.

ახლა რომ ცნობისმოყვარე კაცმა ზევით ჩამოთვლილ რომელიმე გამყიდველთაგანს ჰკითხოს, — რა იქნა წყაროს წყალი, რა დაემართაო? ასეთ პასუხს მიიღებს:

— ვა, ძლივს არ გამოჩნდა კაცი, რომელსაც ეს ბარბაროსობა დაანტერესებდა? ძმობას გეფიცები, დროზე იკითხე, აი. იმ დღეს ორი ხელიგანა ეცა მაგ წყაროს, წიხლები ჰკრეს, ქვა დაარტყეს. გამოვეციდი, ერთი აქეთ გამეცქა, მეორე — იქით, ხან ერთს გამოეფუდებო, ხან — მეორეს. ვერც ერთი დავიკვირე, ვერც — მეორე. ხელიგანა, ყოჩაღია, რას უზამ!

მათი პასუხი აშკარა ცინიზმია. მაგრამ ასეთ პასუხს ჩვენ შემდეგი კითხვა უნდა შევაგებოთ:

— რატომ იმ ადგილას არ ამხსვრევენ ხელიგანები წყაროებს, სადაც წყლის გამყიდველს ჯერ ფეხი არ დაუდგამს?

გ. ივანიშვილი.



## აკვირ... მზესუმზირისგან

ამას წინათ სახალხო მეურნეობის საბჭოს სხდომაზე სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით-მა ინსტიტუტმა საჩვენებლად გამოიტანა გარეგნულად მეტად ორიგინალური და იმისათვის ავეჯი: მრგვალი მთავარი, საწოლი და რაღაცა უცნობის ტემბო. ამ ავეჯმა საერთო მოწონება დაიმსახურა და სამეურნეო საბჭოს დადგენილებით თბილისის სააგეო კომბინატს დაევალი მისი დამზადება და უახლოეს ხანში გამოშვება.

დადგენილებაში ოსიკა ნათქვამია, რომ სააგეო კომბინატი ნელდელთი უნდა უზრუნველყოს თბილისის და ოჩამჩირის... ზეთაბეღელმა ქარხნებმა.

რა კავშირი აქვს ზეთაბეღელ ქარხნებს ავეჯთან?

საქმე ასა, რომ ეს ახალი სახის ავეჯი მზესუმზირის ჩენოსაგანაა დამზადებული. ავეჯის მრეწველობისათვის ისეთი იაფი და ეფექტური მასალის ძიებაში, რომელიც ადვილად შეაცვლის ძვირსა და დეფიციტურ ხის მასალას, სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევემა ინსტიტუტმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ზეთსახელ ქარხნებში ყოველწლიურად გამოუყენებელი რჩება ათათობით ტონა მზესუმზირის ჩენრო, ჩენრო კი თავისი აგებულებით ხის მერქანს გაეს.

მრავალი ცდების ჩატარების შემდეგ ინსტიტუტმა დაამუშავა მზესუმზირის ჩენროსაგან სააგეო ფილების დამზადების ტექნოლოგია.

ჩენროს უმატებენ 10 პროცენტ სინთეზურ წებოს და წინააღმდეგ პილარულ ცხელ წნეში, ლებულობენ ფილებს, რომლებსაც გააოილებს შემდეგ მეტად ლამაზი მოზაიკური ნახატა აქეთ. ფილები გამძლე და ამასთანავე კარგი დასამუშავებელი გამოდგა. ადვილია მათი გაზუხვა, გარანდვა, დარვა, კოტოს ამოღება, და ამგვარად, ყოველგვარი ავეჯის დამზადება.

1 ტონა მზესუმზირის ჩენროსგან 2 კუბური მეტრი სააგეო ფილა მზადდება. ეს ფილები რომ წიწვიანი ჭრის მასალისაგან დამზადდეს მათ 3 კუბური მეტრი ძვირფასი ხის მასალა დასჭირდება. ფულად რომ ვინაგარიშოთ, ერთი ტონა მზესუმზირის ჩენრო 750 მანეთის ეკონომიას იძლევა.

კიდევ მეტი ეკონომიური ეფექტი იქნება თუ მზესუმზირის ჩენროს 50 პროცენტ ბურბუშულას აურევთ. მაშინ ეკონომია 6 კუბომეტრ ხის მასალას შეადგენს და რესპუბლიკა 16000 კუბომეტრ წიწვიანი მასალას დაზოგავს!

მეზაზ ვარათელი



1938 წლის 30 ივნისს მოხდა არაჩვეულებრივი კატასტროფა, მნახველთა აღწერით კატასტროფა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ადრინა დილა. შუა ციმბირის უზარმაზარ ტერიტორიაზე ენისეისა-კენ, კანსკს, ირკუტსკსა და ბოლიბოს შორის ცის ტანობზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ დიდი სისწრაფით გაიქროლა ბრწყინვალე ცეცხლოვანმა სხეულმა. მთელს ტერიტორიაზე გაისმა ძლიერი დარტყმის ხმა, საშინელი გრუხუნის და ჭექა-ქუხილი. ბევრმა იგრძნო მიწისძვრა და არჩვეულებრივი ვიბრაცია. ქ. კანსკის ახლოს მილიონი მატარებელი, რომლის მემანქანეს მოეჩვენა, თითქოს მისი მატარებელი აფეთქდა.

ამას მოყვა ბუნების საკვირველებანი. დასავლეთ ციმბირში, შუა აზიასა და ევროპაში არაჩვეულებრივად თეთრი ღამეები დადგა, შემჩნეული იყო ძლიერი მნათი ღრუბლები და ატმოსფეროს ზედაფენების ძლიერი ამღვრევა. მრავალმა სეისმოლოგიურმა სადგურმა აღნიშნა მიწისძვრა, რომლის ტალღები შუა ციმბირიდან მოდიოდა.

მთელი ამ მოვლენის ცენტრი იყო ე. წ. სამხრეთის ჰაობი, რომელიც მდებარეობს მდ. პოდკამენაია ტუნგუსკის ნაპირზე დასახლებული ადგილის ვანავარას მახლობლად. დიდ ფართობზე ტყე აღმოჩნდა წაქცეული რადიალურად, ე. ი. ყველა წაქცეული ხის ძირი სამხრეთის ჰაობისაკენ იყო მიმართული. ხოლო კენწერო მის საწინააღმდეგო მიმართულებით. გაჩნდა ტყის ხანძარი.

ეს კატასტროფა ცნობილია ტუნგუსკის მეტეორიტის სახელწოდებით. მეტეორიტები დიდი რაოდენობით ეცემა დედამიწას, მაგრამ ატმოსფერო ისე კარგად გვიცავს, რომ მეტეორიტები მიწას ვერ აღწევენ, პაერშივე იწვევიან. მხოლოდ მეტეორიტთა მცირე რიცხვი აღწევს მიწაზე. მრავალი მეტეორიტი, რომელმაც მიწაზე მიადგო, სიმძიმით რამდენიმე კილოგრამს არ აღემატება. დიდი მეტეორიტის მიწაზე დაცემა ათას წელში ერთხელ თუ ხდება. ხოლო ტუნგუსკის მეტეორიტი, რომლის აფეთქების ძალა რამდენიმე ატმოსფერო ბომბის აფეთქებას უტოლდება, ერთადერთია კაცობრიობის ისტორიაში.

ტუნგუსკის მეტეორიტის შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1921 წლის შემდეგ. პირველმა ლ. ა. კულიკმა მიიქცია ამ მოვლენას ყურადღება. 2500 ანკეტა დაარია მან ტუნგუსკის რაიონში და საინტერესო ცნობები შეაგროვა. 1927 წელს შესაძლებელი გახდა ექსპედიციის გაგზავნა ვანავარაში. მაშინ იქ გაუვალნი ტაიგა იყო. რკინიგზის უახლოესი სადგური ტაშეტი 800 კმ იყო დაშორებული. კულიკმა მიადგია აფეთქე-

ბის ცენტრს. შესწავლა გარემო, შეაგროვა აფეთქების ადგილას მიწის სინჯები, ტყის წაქცევისა და ხანძრის ნაშთები მაშინაც ბლომად იყო, მაგრამ ვერც აფეთქებით გამოწვეული კატეორი და ვერც მეტეორიტის ნატეხები ვერ იპოვნა.

1938 წელს ჩატარდა იმ ადგილის აეროფოტო გადაღება. წაქცეული ტყის ფართობი ელიბსურია, დიამეტრი 40 კმ აღწევს.

იმ დროის სეისმოგრაფების შესწავლამ გვიჩვენა: აფეთქების ძალა ისეთი დიდი იყო, რომ საპაერო ტალღამ ორჯერ შემოუარა დედამიწას. აფეთქების განთავისუფლებული ენერგია 10<sup>21</sup> ერგს უდრიდა, რაც ვულკანური მიწისძვრის ძალას შეედრება. აკად. ვ. ფენსენკოვმა ატმოსფეროს ამღვრევის ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ აფეთქებისას მტვრად ქცეული მეტეორიტის მასა მილიონობით ტონას უდრიდაო. კულიკის მიერ ჩამოტანილი მიწის სინჯებში აღმოჩნდა მეტალური რკინის უწყვილევი ნაწილაკები, რომლებსაც მეტეორიტული წარმოშობის ნიშნები ჰქონდა. ამას ისიც დაემატა, რომ აფეთქების ადგილას 1953 წელს აიღეს მიწის სინჯები და მათშიც აღმოჩნდა რკინის ნაწილაკები.

გამოურკვეველი დარჩა საკითხი: რა აფეთქდა? ჰაერში მოხდა აფეთქება თუ მიწასთან დაჯახების შედეგად?

1958 წელს კვლავ მოეწყო ექსპედიცია, რომლის მონაწილემ ასტრონომმა ი. ბოტკინმა განაცხადა, რომ სამხრეთის ჰაობი კრატერს არ წარმოადგენს და მეტეორიტის მიწაზე დაცემის არავითარი კვალი არ არსებობს. მაშასადამე, მეტეორიტი აფეთქდა ჰაერში.

ამავე ექსპედიციის მონაწილემ უფროსმა გეოქიმიკოსმა კ. ფლორენსკიმ გამოთქვა აზრი, რომ მეტეორიტის აფეთქება ჰაერში იმითმ მოხდა, რომ მეტეორიტი გაცხვდა ჰაერთან ხახუნის შედეგად და მისი ნივთიერება გაიფიქრა ქანგბადით. ამის დამტკიცება ძნელია, რადგან ასეთი აფეთქება პრაქტიკაში არ მომხდარა, ჩვეულებრივ მეტეორიტი ქანგბადთან შეერთებისას ნელ-ნელა აწვის და გამოსცემს არცთუ იხე დიდ ენერგიას.

რუსული ჟურნალის „ნორჩი ტექნიკოსის“ წლებანდელ მესამე ნომერში სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ვრონსკი წერს, რომ 1908 წლის 30 ივნისს ატმოსფეროში შემოიჭრა უზარმაზარი ქვის მეტეორიტი, ნიკელოვანი რკინის მცირედი ნარევი. ატმოსფეროს წინააღმდეგობის შედეგად მეტეორიტი დაიშალა და მცირე ნატეხებად დეცა მიწაზე. ისმის კითხვა: მამ ჰამ გამოიწვია აფეთქება?

ვ. სოლიანიკმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ მეტეორიტმა ატმოსფეროში

მიიღო ძლიერი ელექტრომუხტი და მიწასთან მიახლოებისას განიხუტა. თეორიულად მეტეორიტის დამუხტვა ელექტრობით შეიძლება, მაგრამ ტუნგუსკის მეტეორიტის ჩამოვარდნისას არავითარი ელექტრული მოვლენები არ ყოფილა შემჩნეული.

ინჟინერმა და მწერალმა ა. კაზანცევმა წამოაყენა ორიგინალური ჰიპოთეზა. ტუნგუსკის მეტეორიტი იყო არა მეტეორიტი, არამედ კოსმიური გემი, რომელიც სხვა პლანეტიდან ეწვია დედამიწას და მიწასთან მიახლოებისას აფეთქდაო. ეს ჰიპოთეზა ძალიან საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ვინც მეტეორიტი დაინახა, მას აღწერს როგორც „დიდ მილს“, ან „მორს“. პრინციპულად დასაშვებია, რომ რომელიმე პლანეტაზე უკვე არსებობენ იმდენად განვითარებული ცოცხალი არსებანი, რომ შესძლეს კოსმიური რაკეტის გამოგზავნა. ეს ფანტასტიკური, მაგრამ მაინც ყურადსაღები ჰიპოთეზაა.

ტუნგუსკის მეტეორიტის პრობლემა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ჩვენს ქვეყანაში უკვე პრაქტიკულად დაისვა მთვარეზე ადამიანის გაფრენის საკითხი. ავტომატური საპლანეტათაშორისო სადგურის მთვარისა და დედამიწის გარშემო გაშვების შესახებ საკდესის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ რაკეტა გაშვებულ იქნა კოსმიური სივრცის გამოკვლევისა და პლანეტათაშორისო ფრენის მომზადების პროგრამის შესაბამისად, ამერიკული გაზეთები უკვე წინასწარმეტყველებდნენ, რომ საბჭოთა მეცნიერები უკვე უახლოეს დროში გაფრინდებიან მთვარეზე. ყველა ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე უფრო მეტი ინტერესით ისმის საკითხი: რა მოხდა 1908 წლის 30 ივნისს პოდკამენაია ტუნგუსკაზე? მეტეორიტი აფეთქდა თუ კოსმიური გემი?

გასულ ზაფხულში ტუნგუსკის მეტეორიტის აფეთქების რაიონში ოთხი სამეცნიერო ექსპედიცია მუშაობდა. ექსპედიციის მონაწილეებმა 300 კილომეტრი გაიარეს ფეხით, დაწვრილებით შესწავლეს ნიადაგიცა და ტყეც. ახლა შეიძლება დადასტურებულად ჩავთვალოთ, რომ აფეთქება მოხდა ჰაერში, წუთითღვ კილომეტრის სიმაღლეზე. აფეთქების ეპიცენტრში არავითარი კრატერი არ აღმოჩნდა, ნიადაგს კი ახასიათებს გაძლიერებული რადიოაქტიურობა. ხეებმა აფეთქებისას განიცადეს სხივური წვა, რაც ატომგულის აფეთქებისათვისაა დამახასიათებელი. — ეს ცნობები აძლიერებენ კოსმიური გემის მომხრეთა პოზიციას.

ასტრონავტიკის ცნობილმა სპეციალისტმა ა. შტერნფელდმა გამოიანგარიშა და დაამტკიცა, რომ 1907 წლის 28 სექტემბერსა და 1909 წლის 4 დეკემბერს შორის არ შეიძლებოდა მარხიდან (მარსიდან) დე-

დამიწისაკენ კოსმონავტიკური გემის გამოგზავნა, რადგან 1903 წელს დედამიწა იყო მზის ერთ მხარეზე და მარხი მეორე, საწინააღმდეგო მხარეზე. ამავე დროს პროფ. შკლოვსკი მათემატიკური გამოანგარიშებით ქმნის ჰიპოთეზას, რომ მარხის თანამგზავრები ფობოსი და დემოსი ხელოვნურად დამზადებული სხეულებია. მარხის თანამგზავრები ამ მხრივ საინტერესოა არააან. ისინი ძალიან ახლო მანძილზე უტარიალებენ მარხს. პირველი თანამგზავრი დაშორებულია მარხისაგან სულ 6165 კილომეტრით, ხოლო მეორე—20.355 კმ-ით. პირველი თანამგზავრის დიამეტრი 12 კილომეტრის უდრის, მეორე — 9 კმ. როცა ამ ციფრებს ვაკვირდებით, პროფ. შკლოვსკის ჰიპოთეზა აღარ მიგვაჩნია ძალიან საეჭვოდ, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ კ. ფლმარინონი წერდა: მარხის, როგორც პლანეტის ფორმირება უფრო ადრე დასრულდა, ვიდრე დედამიწისა და ამიტომ სიცოცხლე მასზე გაცილებით უფრო ადრე განვითარდაო.

ამავე დროს ა. შტერნფელდი ამტკიცებს, რომ 1908 წლის 30 ივნისის სწორედ ყველაზე ხელსაყრელი თარიღი იყო ვენერადან წამოსული კოსმიური გემის მიწაზე დასაშვებად. 20 მისის გამოშვებულ გემი სწორედ 30 ივნისს დაეშვებოდა მიწაზე. ამ დროს ორივე პლანეტა ყველაზე ახლოს იყო ერთმანეთთან და ვენერელებს ადვილად შეეძლოთ თვალყური ედევნებიათ თავიანთი ექსპედიციისათვის. ვენერა თითქმის დედამიწის ოდენაა. აქვს დედამიწაზე უფრო მკვრივი ატმოსფერო. შესაძლოა იქ იყოს ფლორაც და ფაუნაც.

მიუხედავად ამისა ა. შტერნფელდი ფიქრობს, რომ ტუნგუსკის მეტეორიტი არ იყო კოსმიური გემი, რადგან ყოველი კოსმიური გემი ასტრონავტიკის ურყევი კანონების მიხედვით უნდა მიფრინავდეს კოსმიური სხეულის მოძრაობის მიმართულებით, ე. ი. მიწაზე დამკდომი გემი უნდა მიუახლოვდეს მიწას დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ტუნგუსკის მეტეორიტი კი, როგორც ცნობილია, მოძრაობდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ე. ი. დედამიწის მოძრაობის თითქმის საწინააღმდეგოდ.

ყველა ეს ჰიპოთეზა, მეცნიერთა მოსაზრება მაინც არ წყვეტს საკითხს ტუნგუსკის მეტეორიტის ბუნების შესახებ. მეტეორიტის აფეთქების დღიდან ისე დიდი დრო გავიდა, რომ შესაძლოა ეს საიდუმლოება ვერც ამოხსნან მეცნიერებმა და იგი ფანტასტიკური რომანების ავტორთა შთაგონების წყაროდ დარჩეს.

გრიგოლ ნუსტუზიძე,



# ქვეყანა, საიდანაც არ ბრუნდებიან

ეს მთიანი მხარე, რომელიც სამხრეთ მექსიკაში მდებარეობს, უძველეს დროიდანვე საიდუმლოებით მოცული ლეგენდებითაა ცნობილი. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობებით, იმ მთებში შესული არც ერთი ადამიანი აღარ დაბრუნებულა უკან. იმასაც ამბობენ, რომ 1910 წლის რევოლუციის დროს იქ დაიღუპა მთელი არმია. მხოლოდ სამნი გადარჩნენ, მაგრამ კჰუაშუელილები დაბრუნდნენ და ხალხმა ვერაფერი გაიგო მათგან.

რამდენიმე წლის წინათ ორმა მამაცმა მოგზაურმა გადასწყვიტა ამოეცნო ამ საშინელი მხარის საიდუმლოება. მათ გაბედეს და გადალახეს საზღვარი. „სიკვილის ქვეყანაში“ გატარებულმა პირველივე ღამემ მათ გაუნდო უამრავ ადამიანთა დაღუპვის მიზეზი.

სიკვილი მოვიდა უცნაური მწერების სახით, რომლებიც ისე პატარები და სუსტნი იყვნენ, რომ ადამიანის ოდნავი მოძრაობისას იღუბებოდნენ. მწერები ფარავდნენ ადამიანის სხეულს და კბენდნენ. ნაკბენი სრულიად უმტკივნეულო იყო, მაგრამ რალაც ნივთიერების გამო, რომელსაც მწერები გამოყოფდნენ, კრილოზიდან სისხლი უსასრულოდ დიოდა, აღარ ჩერდებოდა.

მოგზაურებმა, რომლებიც ყველაფერს მოელოდნენ, სასწრაფოდ მიიღეს აუცილებელი ზომები და გადარჩნენ.

ასე წაიშალა ბუნების რუკაზე კიდევ ერთი საიდუმლოება, მოისპო ცრუმორწმუნეობრივი შიში „სიკვილის ქვეყნისადმი“.

## განკითხილი ნიანგი

დღემდე ფიქრობდნენ, რომ ნიანგის გაწერთნა შეუძლებელი იყო. მაგრამ ავსტრიელმა პროფესორმა რობერტ ბრესლერმა ეს შეხედულება უარყო. მან ფლორიდას ჯუნგლებში დაიჭირა პატარა 12 სანტიმეტრი სიგრძის ნიანგი, რომელიც სულ 56 გრამს იწონი-

და, და ვენაში ჩამოიყვანა. ახლა ეს „პაწია“ ორ მეტრამდე გაიზარდა, იგი ძალზე შეეჩვია პატრონს, მასთან ერთად დასეირნობს ავტომობილში და მასთან ერთად ბანაობს ქალაქის საცურაო აუზში.

გარეკანის პირველ გვერდზე — ბურის თავთავები.

ფერადი ფოტო გურამ თიკანაძისა მეოთხე გვერდზე — თბილისის ზღვაზე.

ფერადი ფოტო გურამ თიკანაძისა ჩანართის პირველ გვერდზე — მიხეილ ზანდუკელის პორტრეტი.

მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი მეოთხე გვერდზე — გაგრის პარკში.

ფერადი ფოტო — გიორგი რაჭმაძისა



პირველყოფილთა შორის


ნუ აწუხებ მამაშენს, მზის აბაზანას იღებს აივანზე!



ეს ოხერი თხუთმეტ კილოს მაინც იწონის. დასახვეწებლად მოვსულვარ და წელი რაზე მოვიწყვიტო.



ნახატი-ხუმრობა ა. რევაზიშვილისა



მსახიობ ქალ ადელა ზანდროკთან ახალგაზრდა კაცი გამოცხადდა:

— ძალზე ვწუხვარ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი კატა ჩემი მანქანის ბორბლების ქვეშ ჩავარდა. მე მზად ვარ ეს დანაკლისი ავინაზღაუროთ.

ზანდროკმა გამომცდელად შეთვალეირა მოსული, შემდეგ კი თავისი ბოხი ხმით შეეკითხა:

— როგორ, თქვენ შეგიძლიათ თავგების დაჭერა და შესანსლვა?

საარჩევნო კრებაზე გააფთრებული კამათის დროს დეპუტატმა ქალმა თავის მოწინააღმდეგეს, დეპუტატ მამაკაცს შესძახა:

— თქვენსთანა ქმარი რომ მყავდეს სერ, მე მას ყავაში საწამლავს ჩავუყრიდი უეჭველად.

— მე კი — მშვიდად მიუგო მოწინააღმდეგემ — თქვენსთანა ცოლი რომ მყავდეს, იმ მოწამლულ ყავას ბოლომდის შევსვამდი უეჭველად.

— რა მოუვიდა ამ მშვენიერ ტბას, როდის აქეთ დაშრა იგი?

— მას შემდეგ, რაც იქ საშრობით დატვირთული ხომალდი ჩაიძირა.

— ბავშვებო, წიგნში, გოეთეს გვარის გვერდით სწერია — (1749-1832) აბა ვინ მტეტვის რას ნიშნავს?

— მისი ტელეფონის ნომერია, ბატონო მასწავლებელო, — მიუგო თავმომწონედ პანსმა.

ცნობილი ამერიკელი რეკორდმენი ავად გახდა. საავადმყოფოში ექიმმა სიციხე გაუზომა და თავის ქნევით თქვა:

რედაქტორი გრ. აბაშიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია:

ი. გიგინეიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი,

ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი.

ტექნიკური დ. სუფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ.

ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასახელებად 6/VIII-60 წ. გამომც. № 90. ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>. 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.

პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.200. შეკ. № 1210, უე 01905

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ფოტო აპარატით

ავსტრიაში

(ფოტოზე ზემოდან ქვემოთ)

მყუდრო ადგილი...

ქალაქი ზალცბურგი — მოცარტის სამშობლო.

„... იყიდეთ გაზეთი „კურირი“.

დაბა მაუტჰაუზენი, პატიმრების სიმბოლური ძეგლი ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის წინ.

ქ. ვენის ხედი წმინდა სტეფანეს ტაძრიდან.

სასეირნოდ ქალაქში.

ფოტო გურამ გომართელისა



b. no / 209

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

